პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1932 წ. მარტი
პარიზი

№ 22

1931 — MARS
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა :: «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ჩეკისტების ბაასი

საქართველოს ჩეკისტები შეიკრიბენ და გამართეს ბაასი იმაზე, თუ როგორ უკეთ გაფცქვნან ქართველი ხალხი. ბაასის მეთაური ვინ იქნებოდა თუ არა ჩეკის მეთაური ბერია. რომლის სისხლიანი საქმეები საკმაო საბუთები აღმოჩნდა მის დასაჯილდოვებლად. პარტიის მეთაურათ გამოსაცხადებლათ. ის ახლა მდივანიც არის და ჩეკის გადაწყვეტილებებს «პოლიტიკურათ» აყალიბებს. კრება გახსნა ბერიას მაჩანჩალამ ფ. მახარაძემ, რომელმაც კარგათ იცის «სად ზამთრობს კიბო» და ყნოსვაც მეტათ განვითარებული აქვს. რომ ყოველთვის დროზე მიხვდეს საიდან ბერავს სიო. ვიღაც ღვთის მტერს ეს გვამიც დაუტვირთავს ასტრონომიული ციფრებით და გაუბერია უზომო «მიღწევებით». მაგრამ ვინაიდან მას მუდამ მენშევიკები აბოდებენ, ისიც ჩაჯდა მეორე ინტერნაციონალს და ბერიას შორის, წყევა-კრულვით პირველისა და ქებათა-ქებით მეორისა. გზადაგზა თავისი ყოფილი დამქაშებიც არ დაივიწყა და «ყოველნაირი ჯგუფობია» ეშმაკეულათ აღიარა. შეიკიდა რა ასე გულმოდგინეთ ჩეკის ავგაროზები, ყრილობის დირიჟორობა გადასცა თავის შეფს ბერიას.

ბერიამ. რასაკვირელია, თავისი პირველი წიხლი უთავაზა მის გადაყენებულ წინა მორბედთ. როგორც ეს სჩვევიათ უცებ აწეულ მოხელეთ. მას ალბათ ეშინია, ვაი თუ ისევ უკან დააბრუნონ ძველი მდივნები და სიმწრის ოფლი დაღვარა მათ არარაობის გამოსააშკარავებლათ. რა მართალია ამ კანცელარიულ მამლაყინწობაში და რა ტყუილი—ამის გამოცნობა ძნელია; და ეს მით უფრო რომ ცოტა ხანში ალბათ ვინმე ახალი კარიერისტი გადააბრძანებს ბერიასაც თავის სავარძლიდან და მისდგება მასაც ასეთივე საბუთებით. მაგრამ ამ «ერთი საათით ხალიფებს». უნებურათ, ერთიმეორის ჯინაზე და გასაშავებლათ წამოცდებათ სიმართლეც, რასაც მოყვება ფიცი, ყველაფერი ეს სისაძაგლე ჩემმა წინამოადგილემ ჩაიდინა, ამიერიდან ყველაფერი გამოსწორდებაო. ბერიაც ამხელს მამულიას. ქართველიშვილს და მათ ამყოლ-დამყოლთ. «ანტისაბჭოთა და კულაკურ ელემენტების გამოცხოველება გამოიწვია პირდაპირ ძველი ხელმძღვანელთა ღრმა პოლიტიკურ შეცდომებმაა», აცხადებს ის. ეს «შეცდომები იყო დიდმნიშვნელოვანი და მათი გასწორება ადვილი არ არის». დღევანდელი დროის «დამახასიათებელია საქართველოში კონსოლიდაცია ყველა ანტისაბჭოთა ძალების განურჩევლათ რელიგიის. ეროვნების და პოლიტიკური რწმენისა. კლასიური მტერი გულმოდგინეთ ცდილობს შეძვრეს საბჭოთა აპარატების ყველა ნახვრეტში, კოლმეურნეობათა გამგეობაში და სხ. რომ შიგნიდან მოახდინოს საბოტაჟი. მათი აფეთქება და პროვოკაცია. მენშევიკები საქართველოში მართალია საბოლაოთ დანგრეულია, მაგრამ მათი ნაშთნი კიდევ იმყოფებიან სხვადასხვა კუთხეში, რომელთაც ხანდახან ძალუძთ სოფელში ვინმე შეცდომაში შეიყვანონ და თავის ირგვლივ თავი მოუყარონ» და სხ. და სხ. აი ჩეკის მეთაურის აღსარება (ზ. ვ. № 23-25).

როგორც ხედავთ, ეს მრავალჯერ დამარხული ქართული მენშევიზმი, დამარხულია ჩეკისტების ქაღალდზე, სინამდვილეში ის განაგრძობს სიცოცხლეს და მოქმედებას. ის თავს უყრის ყველა ტომის და რწმენის უკმაყოფილო ელემენტებს და უწევს მათ მეთაურობას. მისი ტაქტიკა ყოფილა ბრძოლა საბჭოთა ტირანიასან არა მარტო გარედან, მასიური მოძრაობით, არამედ შიგნიდანაც. აპარატებში გამაგრებით და მოთხოვნილებათა წამოყენებით. ერთი სიტყვით, ქართული მენშევიზმი, დღევანდელ მწარე პირობებშიაც ახერხებს განაგრძოს ბრძოლა ძველებური ნაცადი გზით, მხნეთ, შეუპოვრათ, გაჭირებულთა და გაყვლეფილთა გვერდით. ჩვენი ორგანიზაციების ასეთ ცხოველმყოფლობას ჩეკისტები ხსნიან ჩეკისტურათ. აბრალებენ თავისავე გაძევებულ ამხანაგებს. მათი შეცდომა ყოფილა, «პირველ ყოვლისა მექანიკურათ გადმოტანა კავშირის პურის რაიონების მეთოდებისა ქართულ სოფელში, როგორც შედეგი ქართული სოფლის სინამდვილის უცოდინარობისა, მისგან დაშორებისა, საქართველოს თავისებურობის უყურადღებობისა». აი ხალასი ჭეშმარიტება, ერთი მგლისკენაც უნდა ითქვას. მაგრამ რა შუაშია აქ გადამდგარი მოხელენი? რუსული ბოლშევიზმის საქართველოში შემოჭრა და აქ იქაური პოლიტიკური და ეკონომიური მეთოდების შემოტანა დაიწყო საქართველოს ოკუპაციით და მისი მოხსნაც შეიძლება ამ ოკუპაციის მოხსნით. სანამ მოსკოვი იბრძანებლებს ჩვენში, იბრძანებლებს მუდამ მოსკოურათ, რუსული მეთოდებით. თხა და მგელი ერთით ვერ იძოვებენ. სანამ მოსკოვის მგლები თარეშობენ საქართველოს ფარეხში. მანამდე მისი მწყემსიც ფხიზელი იქნება და ფარეხის დაცვას შეეცდება. ეს მწყემსია ქართული მენშევიზმი. ამ ჭეშმარიტების კომუნისტების მიერ აღიარება ნიშნავს მათ მიერ გუდა-ნაბადის აკიდებას და რუსეთში გაბარგებას. მათი ტრაგედიაც ამაშია—იციან რომ დამნაშავენია და არ ძალუძთ მისი აღიარება. იციან დანაშაულობას სჩადიან და განაგრძობენ მის ჩადენას. მთელი მათი გეგმა მუშაობისა. რამაც ვითომ უნდა გამოასწოროს ჩადენილი «შეცდომები», განმეორება და გაგრძელებაა ამავე «შეცდომების», ცდაა საქართველო გადაიყვანონ რუსულ რელსებზე და მით დაუნგრიონ მას მთელი მისი საკუთარი სოციალური საფუძველი.

მისცეს რა ასე გადაჭრით თავის თავს, სიღატაკის მოწმობა, ჩეკისტები განაგრძობენ ბაას იმაზე თუ როგორ გააღრმავონ ხალხის «რუსული მეთოდით» განიავება და გადაგვარება. ბერია ჩივის, რომ კოლექტივიზაცია გასულ წელს შეიცავდა მხოლოდ 38 პროცენტს, რაც ყოფილა «ჩამორჩენა კოლექტივიზაციის საერთო დონესაგან». საქართველოს ასეთი «ჩამორჩენა» შედეგია «ოპორტიუნისტული შეუფასებლობის კოლმეურნეობათა სამეურნეო-საორგანიზაციო მნიშვნელობის». ნამდვილათ კი აქ გადამჭრელი როლი ითამაშა ხალხის ბრძოლამ და მასიურმა გამოსვლებმა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. მაშასადამე, ამ ხაზზე რჩება ძველი მდგომარეობა—ერთი მხრით ხელისუფლება რუსულ მეთოდებით აღჭურვილი, მეორე მხრით ხალხი ქართული კულტურით შეიარაღებული. ბრძოლა გრძელდება. ძალაში რჩება ქართული მეურნეობის დანგრევის მოსკოური სისტემა. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუდგენია გასულ წელს ოქტომბერში: «ამიერ კავკასიამ უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის ჩაის მოთხოვნილება»-ო. რაიცა გადმოეცა «საქართველოს ჩაის» ასასრულებლათ. გურია და სამეგრელო კვლავ იძულებულნი იქნებიან უარი თქვან სიმინდის მოყვანაზე და მოსკოვს ჩაი მიართვან. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველებურათ რჩება; ერთი წყება ჩეკისტების გადარეკა და მათ ალაგას მეორე წყების დაბინავება სრულიად არ ნიშნავს სისტემას, მეთოდის და საქმიანობის შეცვლას; აქ მხოლოდ «ძმათა ბრძოლაა» ადგილების და გამორჩენის ირგვლივ, ხოლო დავა და პოლემიკა სიტყვის მასალაა გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ. უკანასკნელი პარტიული კონფერენცია, ეს ჩეკისტების მორიგი მასლაათი წარმოადგენს მხოლოდ სარკეს. ისიც მეტათ მკრთალს, რომელშიაც ნათლათ მოსჩანს ქართველი ხალხის სიმტკიცე, მისი აულებელი სიმაგრე, რასაც ასკდება მოსკოვის ურდო. მტრის ბანაკში აფორიაქება, ერთიმეორის წინააღმდეგ ბრძოლა, რყევა და მიხვევ-მოხვევა, ხალხის ბანაკში კი ერთობა, ერთათ დგომა, გარკვეული აზრი და ნების ყოფა—დაიცვას თავისი არსებობა, თავისი გათელილი უფლებები, აღდგეს როგორც ხალხი და ერი...

◆

ბრიანი

შვიდ მარტს პარიზში მოულოდნელათ გარდაიცვალა საფრანგეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე არისტიდ ბრიანი.

ის თავის 70 წელს ჯერ კიდევ ყოჩაღათ და მხნეთ ატარებდა, ბევრს იმედებს უღვიძებდა; დღე-დღეზე მისი შეჩერებული მუშაობის განახლებას მოელოდენ და ამიტომ გასაკვირი არ არის მისი დაკარგვის ამბავი მთელ მსოფლიოს განცვიფრებით მიეღო და ყოველგან დიდი ჭმუნვა და თანაგრძნობა გამოეწვია.

ბრიანი—ეს იშვიათი პიროვნებაა, რომლის ცხედარს წილათ ხვდა ასეთი საერთო გულწრფელი მწუხარება და საერთაშორისო გლოვა. მან თავისი შრომით, ცხოვრებით და სალი პოლიტიკური გეზით მართლაც დაიმსახურა მოწინავე კაცობრიობის სიყვარული. თუ ვინმე ამაში დღევანდლამდე დაეჭვებული იყო, დღეს, მისი გარდაცვალების შემდეგ, აშკარათ, უდაოთ შეიქნა.

ბრიანმა თავისი საზოგადო მოღვაწეობა დაიწყო სინდიკალიზმით, გააგრძელა სოციალიზმით, დაასრულა პაციფიზმით. ამ ხანგრძლივ ცვალებადობაში, ამ სხვადასხვა ეტაპებზე, ის რჩება მუდამ ერთი და იგივე მორალური პიროვნება, ერთი და იგივე ჰანგებზე მომღერალი და თავისი რწმენის ერთგული. ის თავიდან ბოლომდე პაციფისტია, პაციფისტი შიგნით, პარტიათა ბრძოლაში, პაციფისტი გარეთ ერთა ქიშპობაში. ერის წინსვლა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, დაჩაგრულ კლასების დაცვა, ამაღლება და უზრუნველყოფა თავისუფლებით და მშვიდობიანათ—აი ბრიანის მთელი პროგრამული და ტაქტიკური შეხედულობა. ამ ხაზს შერჩა ბოლომდე, თუმცა სამოსელი ხშირათ გამოიცვალა.

ახალგაზდა პროვინციალური ვექილი, ის იწყებს მუშათა სინდიკატების დაცვით და მათი მოთხოვნილებათა წაყენებით. ამ დროს ის რევოლიუციონერია, მუშათა საერთო გაფიცვის მქადაგებელია, რასაც უსისხლოთ და უდავიდარაბოთ უნდა გადაეწყვიტა სოციალური საკითხი. ის ამ აზრით თავის საერთო გაფიცვის იდეიას უპირდაპირებს მარქსისტულ პარტიას, გედისტებს. რომელნიც ასე იდილიურათ არ უყურებდენ კლასთა ბრძოლის დაბოლოვებას. შემდეგ ის ეწერება ჟორესის პარტიაში და თავის შეფთან ერთათ იღებს მხურვალე მონაწილეობას სოციალისტების გაერთიანებაში. შემდეგ ის შედის სარიენის კაბინეტში თვით ჟორესის რჩევით, თუმცა ამან ვერ იხსნა პარტიიდან გაძევებისაგან. ამ დღიდან ის შორდება ფორმალურათ პარტიას, მაგრამ პარტიაში შეძენილი ზოგი ძირითადი პოლიტიკური დებულებანი რჩება მისთვის მოქმედების ლამპრათ.

ბრიანი იყო პირველყოვლისა ომის მოძულე, ანტიმილიტარისტი; ეს სავსებით ეგუება მის ბუნებრივ პაციფისტობას. მეორეთ, მან კარგათ დაიმახსოვნა პარტიის ერთი საერთაშორისო აზროვნება: ევროპაში არ იქნება მშვიდობიანობა, სანამდე არ მორიგდებიან საფრანგეთი და გერმანია. ამ ორი გადაკიდული ერის დამეგობრება და დაახლოვება ბრიანის დროშაა. მთელი ეს მისი ბოლონდელი საქმენი, ეს ლიგა, ლოკარნო, კელოგის პაქტი, რეინის დაცლა. გერმანიასან დაახლოვება და მრავალი სხვა—აი ამ მისი დიდი ხნით ადრე მიღებულ რწმენის შედეგია. ომის წინ ამ მის აზრებს არ დაურჩა ისეთი გასავალი, როგორათაც ომის შემდეგ. ეს მდგომარეობის და გარემოების ბრალია, მაგრამ ის კი მუდამ ამ ნიადაგზე იდგა და მას ემსახურებოდა. ამიტომ მას შეეძლო სამართლიანათ და გულწრფელათ ეთქვა ერთ გერმანელ სოციალისტისათვის: «თქვენ მე კიდევ რენეგატათ მთვლით, არა? არც იმდენათ ვარ, როგორც ჰგონიათ». მართლაც, არც იმდენათ; ის იშვიათი ყოფილი სოციალისტია რომელმაც რენეგატობა არ დაიმსახურა და ბოლომდე სოციალისტებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება შეინარჩუნა.

ბრიანმა კარგათ დაიმახსოვნა აგრეთვე სოციალიზმის მოძღვრებიდან დაჩაგრულ ერთა პატივისცემა, მათი უფლებების დაცვა და საზოგადოთ ეროვნული პრობლემის გადასაჭრელ პრობლემათ აღიარება. მან თავს იდვა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო ნიადაგზე დაყენება და მისთვის იურიდიული ცნობის მოპოვება. ბრიანი სამართლიანათ ჩაითვლება საქართველოს მიმრქმელათ. მის ხალხთა ოჯახში შემყვანათ და ათეული წელი მისი უფლებების დამცველათ. ყოველგან სადაც კი მოსკოვი საქართველოს უფლებებს შეეჯახებოდა, კანაში, გენუაში, ლოზანაში თუ პარიზში, ბრიანი მათ პრეტენზიებს გასავალს არ აძლევდა. ქართველი ერის წინაშე მას მიუძღვის განსაკუთრებითი დამსახურება.

ბრიანის ფიზიონომია ნათელია; ის წარმოადგენდა ლათინური უბნის სტუდენტთა იმ ნაწილს, რომელიც მუდამ გატაცებულია დემოკრატიული და კაცმოყვარული იდეებით. იცავს ყოველგან ჩაგრულთ და დევნილთ, შეაქვს თავისი აზრი და თავისი ტემპერამენტი ყველა წრეში და დაწესებულებაში, ებრძვის უსამართლო პროცესებს, თავი ისახელა განსაკუთრებით დრეიფუსის ხანაში. იყო და რჩება მუდამ პოლიტიკურ ბოჰემათ, ჩაჭედილი თავის უბანში. მაგრამ თავისი საუკეთესო წევრების საშუალებით ხშირათ გამოდის საფრანგეთის მეთაურის როლში. ბრიანი იზიარებდა ამ წრის ყველა რწმენას და ცრუმორწმუნოებას, მის იდეალიზმს, იმედებს და იმედის გაცრუებას. ბრიანიზმი გახდა უკვე გარკვეულ მიმართულებათ ამ ბოლო წლებში, რაიცა გადაედვა საზოგადოების ფართო ნაწილებს. მან ჩაითრია მთელი მოწინავე დემოკრატია, სოციალისტებითურთ, საერთაშორისო მასშტაბით. მისი დამახასიათებელი თვისება გახდა დასნეულებული საზოგადოების განკურნება პაციფიზმით, საერთაშორისო მშვიდობიანობით. ბრიანის ანტიმილიტარისტურ სულისკვეთებას მიეცა ფართო გამოხმაურება. ამ მიმდინარეობის ნაკლულევანებაა მისი აბსოლიუტიურ წამლათ გამოცხადება. მისი გაზვიადება, მისთვის სექტანტური ხასიათის მიცემა, თითქოს მთელი ჭეშმარიტება ამ ბანაკში იყოს თავმოყრილი. პაციფიზმი გადაიქცა ნამდვილი სოციალისტობის ნიშნობლივ თვისებათაც. ამაში ეჭვის შემტანი ცხადდება ანტიდემოკრატიულ და ანტისოციალისტურ ელემენტათ. ლათინური უბანი რომ ასე ფიქრობს, ეს არ არის გასაკვირალი, ის მუდამ ასე ფიქრობდა. მაგრამ როცა ამ უბნის გავლენაში ვარდება მუშათა დემოკრატია—ეს კი ახალი ამბავია. რასაკვირელია, სახურავი იფარავს შენობას დაქცევისაგან. მაგრამ წაქანებული შენობის გასწორება არა საძირკვლიდან, არამედ სახურავიდან—ეს საამშენებლო ფანტაზიაა. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მორჩენა პაციფიზმით—ერთი ასეთი ილიუზიათაგანია, რაიცა დღეს მოდებულია საზოგადოებაში: ბრიანიზმი დიდი ძალაა.

ამ ბოლო ხანებში ამ ძალას დაეტაკა ცხოვრების სინამდვილე და ის წააბორძიკა. პაციფიზმით არ დაიჩრდილა არც კლასთა, არც ერთა ანტაგონიზმი. გერმანიაში ჰიტლერელთა გაძლიერება და შორეულ აღმოსავლეთში ზარბაზნების ქუხილი ბრიანიზმის გადაჭარბებული იმედების განელებაა, და სწორეთ ამიტომ აშფოთებს ეს ორივე მოვლენა ევროპის დემოკრატიას; მას არ სურს თავისი კერპის დამსხვრევა, თავისი აღმაფრენის დაშვება. სწორეთ ამ კრიტიკულ მომენტში ბრიანი იძულებული გახდა პოლიტიკას გაშორებოდა; იყო ეს მართლა ავათმყოფობით თუ თავის მიმართულებაში დაეჭვებით—ამის თქმა ძნელია. ბრიანი დღეს აღარ არის, ბრიანიზმი რჩება, თუმცა ძალზე შელახული სინამდვილით, მაგრამ ანთებული კეთილი სურვილებით...

ბრიანის ცხედარი საქართველოს სახელით შემკობილ იქნა მშვენიერი გვირგვინით ამ წარწერით:

არისტიდ ბრიანს,
ქართველი ხალხი.

საყოველთაო განიარაღების პრობლემა და ეკონომიური პოლიტიკა.

ორი დიდი საკითხი იპყრობს დღეს საზოგადოების საგანგებო ყურადღებას: ა) ეკონომიური კრიზისი, რომელმაც უმაგალითო ხასიათი მიიღო და რომელსაც თითქოს დასასრულიც კი აღარ უჩანს, და ბ) საკითხი საერთო განიარაღების, რომლის გადასაჭრელათ დიდი ხანია ემზადებოდენ და ახლა უდიდესი კონფერენცია უკვე თავმოყრილია ჟენევაში.

გარეგნულად ამ ორ საკითხს შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს; ნამდვილათ კი თუ «განიარაღების კონფერენცია» განსაკუთრებულ ყურადღების ცენტრათ არის გადაქცეული, სწორეთ იმიტომ, რომ იგი ხდება იმ დროს, როცა მსოფლიო უდიდეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ეკონომიურ არევ-დარევის და გასაჭირის ნიადაგზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველას ძარღვები აქვს დაჭიმული.

დღეს ყველამ იცის, თუ რაოდენი ნივთიერი ზარალი მიაყენა ომმა ქვეყნიერობას, და ყველა ხედავს, რომ ამ ნივთიერ ზარალის შედეგები არამც თუ საშინელ მძიმე ლოდათ აწევს ახლაც, ამ თოთხმეტი წლის შემდეგ, ხალხთა კეთილდღეობას, არამედ მრავალ ქვეყნებში ეს შედეგები ისეთ «ასაფეთქებელ მასალასაც» ამზადებენ, რომელმაც შეიძლება კიდევ უარესი უბედურება თავს დაატეხოს კაცობრიობას, ვინემ განვლილი კატასტროფა იყო. ასეთ უბედურების თავიდან ასაცილებლად ბჭობენ საერთო განიარაღებისათვის: სამხედრო ავიაციის. სამხედრო გემების, ჯარის, ზარბაზნების და საერთოდ სამხედრო წყობილების თუ სულ არ მოსპობის, შემოკლების შესახებ მაინც.

რა თქმა უნდა, რამდენათ სუსტნი იქნებიან მეომარნი, რამდენათ ნაკლები იქნება ურთიერთ განმანადგურებელი საშვალებანი მათ განკარგულებაში, იმდენათ ნაკლები იქნება საერთო აოხრება. ხოლო ამასთანავე არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ისიც, რომ განიარაღების საკითხი უბრალო ტეხნიკური საკითხი არ არის; ხალხთა საერთო და ნამდვილი განიარაღებისათვის, მუდმივი მშვიდობიანობისთვის, საჭიროა გადაჭრა მრავალ სხვა საკითხებისაც, რომელთა ძირი სამხედრო განწყობილებაში და შეიარაღებაში კი არ სუფევს, არამედ—სახალხო მეურნეობაში, იმ ეკონომიურ ურთიერთობაში ხალ-

ხთა შორის, რომელიც უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს. წარსულის მაგალითებიც იმას გვეუბნება, რომ ეკონომიური ფაქტორი უმთავრეს როლს თამაშობს ომის და ზავის საკითხებში; ის არის საფუძველი, ხალხთა შეირაღება და განიარაღება კი იმის შედეგათ უნდა ჩაითვალოს.

⁂

სახალხო-სამეურნეო პოლიტიკა და სახალხო მეურნეობის ორგანიზაცია გამოყენებული უნდა იქნას ომის წინააღმდეგ და მშვიდობიანობის სასარგებლოთ; ორი მიმართულებით შეიძლება ამისთვის მოქმედება: ა) ეკონომიურ ზომებით შებრძოლება მათ წინააღმდეგ, ვინც ომის მომხრეა და იარაღის საშვალებით იფიქრებს სახელმწიფოთა შორის ამტყდარ უთანხმოების გადაწყვეტას, და ბ) სახალხო მეურნეობის ისეთ საფუძველზე მოწყობით, რომ იგი შინ მოსახლეობის აუცილებელ და რეალურ მოთხოვნილებებს ემსახურებოდეს და გარეთ, საერთაშორისო დამოკიდებულებაში, არივის იჭვს არ უბადებდეს იმაში, რომ ეს ეკონომიური პოლიტიკა სხვა ერების მიმართ ლოიალურია და მათთან ეკონომიურ ნიადაგზე თანამშრომლობას და დაახლოვებას ხელს უწყობს.

პირველი გზა სცადა ნაციათა ლიგამ; მე 16 მუხლი ნაციათა ლიგის პაქტისა ამ პრინციპზეა აშენებული. ეს მუხლი ამბობს, რომ თუ ნაციათა ლიგის რომელიმე წევრი ომს მიმართავს, იგი ამით ომს უცხადებს ნაც. ლიგის ყველა დანარჩენ წევრებსაც; ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შესწყვიტონ მასთან ყოველივე კომერციული და ფინანსიური დამოკიდებულება და აუკრძალონ თავის ხალხთ იქონიონ რაიმე ფინანსიური და ეკონომიური დამოკიდებულება ომის ამტეხ სახელმწიფოსთან, სულ ერთია წევრია თუ არა იგი ნაციათა ლიგის,

ეს ზომა მეტად მჭრელია, კარგად მომართული იგი ხელიდან იარაღს მართლაც გააგდებინებს მეომარს; იმიტომ რომ ჩვენს დროში ომის წარმოებისთვის ნივთიერ საშველებებს—ფულს, საკვებს, ნედლ მასალას და სხვ.—მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ჯარის რაოდენობას და ზარბაზნების რიცხვს. ამიტომ იმის ცხოვრებაში გატარება იქნებოდა რეალური ნაბიჯი წინ იმის დასამტკიცებლად, რომ შეიარაღება კარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას. ამ ზომის ცხოველმყოფელი ძალა, სამწუხაროთ, დაასუსტეს იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც ნაციათა ლიგის გარეთ დარჩენ, ნაციათა ლიგის ვალდებულებას არ კისრულობენ და იმავე დროს სწორედ ეკონომიურ თვალსაზრისით საინტერესო ქვეყნებს წარმოადგენენ. ეს არის უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები—ქვეყანა უმდიდრესი ნედლი მასალით და ფულით. იგი ნაციათა ლიგაში არ შედის და მაშასადამე ნაციათა ლიგის პაქტი მაზედ არ ვრცელდება; მას შეუძლია ორ სახელმწიფოთა შორის ამტყდარ ომის დროს «ნეიტრალიტეტი» დაიჭიროს და თავის «სტოკებით» და ბანკებით სარგებლობა, რასაკვირველია ხელსაყრელ პირობებში, მეომართ არ დაუშალოს. ამნაირათ, შეერ.—შტატების გარედ გადგომა იმ ეკონომ. პოლიტიკიდან, რომლითაც ნაციათა ლიგა უნდა შეებრძოლოს იარაღის ამღებ სახელმწიფოს, თავიდანვე ფასს უკარგავს ამ პოლიტიკას.

მეორე ქვეყანაა—საბჭოთა კავშირი. არც ის შედის ნაციათა ლიგაში... «პრინციპიალურ» მოსაზრებით. საბჭოთა კავშირი ამერიკა არ არის და მას თვითონ უჭირავს თვალი სხვისი ფულისკენ და სხვისი ბანკებისკენ, მაგრამ ნედლი მასალის მხრივ იგიც დიდ განძს წარმოადგენს. საერთაშორისო კონფლიქტებისა და არეულობის მოტრფიალეს საბჭოთა კავშირს, რა თქმა უნდა, სრულებითაც ხელს არ აძლევს ნაციათა ლიგის წევრობა და მისი ვალდებულებათა აღება, პირიქით, მისი პოზიცია განდგომის და შეურიგებლობისა ბევრს, უკმაყოფილოს ახლანდელი სახელმწიფო საზღვრებით და ტერიტორიებით, აახლოვებს მასთან იმ ერთად ერთ მოსაზრებით, რომ შესაძლო სამხედრო კონფლიქტის დროს საბჭოთა კავშირის განწყობილება და... ნედლი მასალა გამოიყენოს. ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომ. პოლიტიკაც აქეთ არის მიმართული. სულ ერთია სხვისთვის დასჭირდება მას დამზადებული მასალა, ეყოლება მოკავშირენი თუ მარტო იომებს... «სოციალიზმის დასამყარებლად». ბაქოს ნავთი, რომელიც საბჭოთა კავშირს ხელთ უპყრია როგორც უდიდესი კოზირი, დღემდის საინტრიგო საგანია მის ხელში სხვადასხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების აღსადგენათ თუ იმის განსამტკიცებლათ; მკითხველს მოეხსენება, თუ რა როლი ითამაშა ნავთმა წარსულ დიდ ომში და უფრო დიდი როლი მოელის იმას მომავალში, რომ ომი დატრიალდეს; ფრანგის სენატორის ბ. ბერანჟეს სიტყვები «ვისაც ნავთი აქვს, ძალა უფლებაც მის ხელში არის»-ო ბოლშევიკებმა კარგად დაიმახსოვრეს.

მესამე მნიშვნელოვანი სახელმწიფო, ნაციათა ლიგაში რომ არ შედის, არის ბრაზილია—ქვეყანა აგრეთვე ნედლი მასალის.

ასე გამრუდდა სწორად აღებული გეზი ეკონომიურ პოლიტიკით ომის წინააღმდეგ ბრძოლისა; იმ ეკონომიურ ღონისძიებამ, რომელიც შესაძლო იყო გადაქცეულიყო ნამდვილ საშვალებათ და ხელის შემწყობათ საერთო განიარაღებისათვის, დაკარგა თავისი რეალური მნიშვნელობა ზოგიერთ სახელმწიფოთა წყალობით; იგი თითქმის ფიქციათ არის გადაქცეული.

⁂

მეორე ზომა, რომელიც აგრეთვე ეკონომიურ პოლიტიკიდან გამომდინარეობს და ნაციათა ლიგის პაქტითაც იყო გათვალისწინებული, შეეხება საერთაშორისო აღებმიცემობის ისეთ პირობებში ჩაყენებას, რომ კონფლიქტებს ამ ნიადაგზე ადგილი აღარ უნდა დაურჩეს. პაქტის 23 მუხლში ნათქვამია, რომ ნაც. ლიგის წევრები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა დაიცვან და უზრუნველჰყონ თავისუფლება მიმოსვლის (კომუნიკაციის) და ტრანზიტის და აგრეთვე ერთნაირათ მოეპყრან სავაჭრო დამოკიდებულებაში ნაციათა ლიგაში შემავალ ყველა წევრებსო; თუ ეს ღონისძიება არ გულისხმობდა აღებ-მიცემობის სრულ თავისუფლებას, ყოველ შემთხვევაში იგი მიმართული იყო იმ განკერძოებისა და კარჩაკეტილობის, იმ საბაჟო კედლების წინააღმდეგ, რომელიც ეხლა სულს უხუთავს ვაჭრობა მრეწველობას; ამ კარჩაკეტილობის ნიადაგზე ატეხილი საბაჟო ბრძოლიდან ზარბაზნებით ბრძოლამდის დიდი მანძილი როდი არსებობს.

ეკონომიურ პოლიტიკის აღნიშნული ხაზიც ფრიად მნიშვნელოვან ზომათ უნდა ჩაითვალოს ხალხთა მორიგებისა და განიარაღებისათვის. არა ერთი და ორი კონფერენცია შეკრებილა ამის გამო, არა ერთი და ორი საბაჟო შეთანხმება მოეწყო, თვით ევროპის შეერ. შტატების იდეა უმთავრესად ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული. ერთი სიტყვით, ყველა გრძნობდა, რომ საჭირო იყო ერთგვარ ეკონომიურ წონასწორობის ქვეყნად დამყარება, რომ მით მრავალ სადავო საკითხებს ბოლო მოღებოდა.

მაგრამ დიდი ომიდან გამოსული ხალხები ხარბად დაეწაფენ ეკონომიურ აღმშენებლობას, უგეგმოთ და უსისტემოთ, ერთი მეორესთან შეუთანხმებლათ და აღსავსენი ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართულ კონკურენციით, რამაც დაბოლოს ეს გაუგონარი ეკონომიური კრიზისიც გამოიწვია. ეკონომიურ ნიადაგზე ურთიერთ დათმობისა და მორიგების მაგიერ გაჩაღდა საბაჟო ომი, საბაჟო გადასახადებმა უმაღლეს წერტილს მიაღწიეს, ყოველგან პროტექციონიზმი დამყარდა, ყოველგან ეკონომიური ნაციონილიზმი გაბატონდა. ამ «ეკონომიურ ნაციონალიზმით», საბაჟოების მაღალ კედლებით, უპირველეს ყოვლისა ამერიკა შეიარაღდა; ომის წინ ევროპა ევროპის გარედ არსებულ ბაზრებით და კერძოთ ამერიკის ბაზრებითაც ცხოვრობდა (განსაკუთრებულ როლს ემიგრაციაც თამაშობდა). ახლა ამერიკის ბაზრები ხომ დაიკეტა, ამერიკამ სხვა ბაზრებზედაც საშინელი კონკურენცია გაუწია ევროპას; თუ ომის წინ ევროპის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში 67.9 პროც. წარმოადგენდა, ახლა ეს მონაწილეობა (1925 წ.) 56,4 პროცენტამდის ჩამოვიდა. როცა ერთი თავდასხმაზე გადადის, მეორე ხელდაკრეფილი ვერ გაჩერდება; და აი ამერიკის საერთაშორისო ბაზარზე გამოლაშქრებას ევროპამაც «ეკონომიურ ნაციონალიზმით» უპასუხა; ამ ზომას ჯერ თითქოს თავდაცვის მნიშვნელობა ჰქონდა და ევროპა ამერიკას უნდა დაპირდაპირებოდა, მაგრამ იგი მალე საერთო ღონისძიებათ გადაიქცა ყველასათვის და ევროპის ქვეყნებიც ერთი მეორეს დაუპირდაპირდენ. ნაციათა ლიგის პაქტის 23 მუხ. მივიწყებული იქნა. ჩვენ არ შეუდგებით აღწერას ამ ნიადაგზე აღმოცენებულ მრავალ გაუგებრობისა და უსიამოვნებისას სახელმწიფოთა შორის, რამაც ამ უკანასკნელ დროს ძალიან მწვავე ხასიათიც მიიღო.

ამ საერთო ეკონომიურ არევ-დარევის დროს განსაკუთრებული უარყოფითი როლი საბჭოთა კავშირმა თავისი დემპინგით ითამაშა. მართალია, მსოფლიო ვაჭრობაში მისი მონაწილეობა სრულიად უმნიშვნელოა, იგი 1,4 პროც. არ აღემატება, მაგრამ ბაზრების დასანგრევათ ეს მცირე მონაწილეობაც თვალსაჩინოა. შინ დამშეული და შიშველ-ტიტველი ხალხის პატრონი საბჭოთა ხელისუფლება უცხოეთში საქონელს თვითღირებულებაზე უფრო იაფად ყიდის, არა იმისთვის მხოლოდ რომ ვალიუტა აიღოს (რასაც მისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს), არამედ იმიტომაც რომ ამ საერთო არევ-დარევაში კიდევ მეტი არეულობა შეიტანოს. ამისთვის იგი სარგებლობს განსაკუთრებით ხე-ტყით, ნავთით, მარგანეცით; ასე, მაგალითად, შეერთ.—შტატების მარგანეცის წარმოება, როგორც მოწმობს შეერთ.—შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ არჩეულ კომისიის ანკეტა, საბჭოთა კავშირის არალოიალურმა კონკურენციამ სულ გაანადგურა.

ცხადია, ასეთი მოვლენები ხელს არ შეუწყობენ ხალხთა დაახლოვებას; ის ეკონომიური ბრძოლა, რომელიც საბაჟო ტარიფების, «კონტინენტების» დაწესების, აშკარა და ფარულ დემპინგის საშვალებით სწარმოებს, ამწვავებს ხალხთა შორის დამოკიდებულებას და ფსიქოლოგიურად აშორებს მათ განიარაღების იდეას.

⁂

ამ რამდენიმე დღის წინათ ბ. ლიტვინოვმა საბჭოთა დელეგაციის სახელით განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში დეკლარაცია გააკეთა, დეკლარაცია, რასაკვირველია, მეტად რადიკალური. «საბჭოთა დელეგაციამ იცისო, განაცხადა მან, რომ მშვიდობიანობის უმაღლესი გარანტია არის მხოლოდ სრული გამარჯვება სოციალისტურ პრინციპების, რომელნიც მოსპობენ შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს. მაგრამ სანამდის ეს პრინციპები მეფობენ დედამიწის [illegible] მეექვსედზე, ერთად ერთი საშვალება [illegible] უზრუნველყოფის არის სრული და საყოველთაო განიარაღება. საბუთი იმის, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია, ის არის, რომ ამ წინადადებას იძლევა სახელმწიფო, რომელიც 160 მილ. ადამიანებს აერთებსო». ბოლშევიკების არც «სოციალისტურ პრინციპების» და არც პაციფისტობის ევროპაში აღარავის სჯერა; ამიტომ ძალიან საინტერესო იქნებოდა ლიტვინოვს ჟენევის ტრიბუნიდან ისიც აეხსნა ევროპის საზოგადოებისათვის, თუ როგორ თავსდება «სოციალისტურ პრინციპებთან» ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება დღესაც, თავის არსებობის მეთოთხმეტე წლის გასულს, ისე კვებავს მშრომელთა მასას, როგორც იგი დიდი ომის შავ-ბნელ დღეებში თუ იკვებებოდა, სტოვებს ხალხს ჩაუცმელ-დაუხურავს, მშიერ-მწყურვალეს და ამავე დროს მილიარდებს მძიმე ინდუსტრიაზე ხარჯავს. გარდა საერთო უხეირო საქმიანობისა, ასეთ ეკონომიურ პოლიტიკას ევროპიელები იმით ხსნიან, რომ საბჭოთა კავშირის პაციფისტები საომრად თვითონ უფრო ემზადებიან, ვინემ სხვა ვინმე.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა, სხვათა შორის, ის ანალიზი, რომელსაც ფრანგი სენატორი ფრ. ეკკარდი უკეთებს ხუთწლიან გეგმას (იხ. la Revue des Vivants № 2, 1932). ამ ანალიზის თანახმად საბჭოთა ხელისუფლების ხუთწლიანი გეგმა სწორეთ სამხედრო დანიშნულებას ემსახურება: თანხების უდიდესი ნაწილი მძიმე და ქიმიურ ინდუსტრიაზე იხარჯება, წინსვლაც ინდუსტრიის ამ დარგებში არის თვალსაჩინო. ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება ძველი რუსეთის გამოცდილებით სარგებლობს, რომელიც იძულებული იყო დიდი ომის დროს უცხოეთიდან შემოეტანა 80 პროც. ყუმბარების მძიმე არტილერიისათვის, 63 პროც. ტყვიის მფრქვეველი, 48 პროც. თოფის, 85 პროც. ავტომობილის, 75 პროც. აეროპლანის, 25 პროც. ქიმიურ ნაწარმოების და სხვ. გარდა ამისა, რუსეთს დიდი ომის დროს (1916 წ.) შემოჰქონდა თვიურად 6 მილ. ფუთი შავი ლითონის, ხოლო ეგრედ წოდებული ფერადი ლითონის ორი მესამედიც ომის წინ ხომ სულ უცხოეთიდან შემოჰქონდა... აი ამ გაკვეთილის მიხედვით არის განზრახული, რათა შავი ლითონის წარმოება (თუჯი და ფოლადი) აყვანილი იქმნას 20 მ. ტონამდის (თითოეულის) 4 მილ. ტონის მაგიერ ომამდის, რაც შეეხება სპილენძს, იმის წარმოება უნდა იქნას აყვანილი 150 ათას ტონამდის, ტყვის—100 ათასამდის, ცინკის—127 ათასამდის და სხვ.

ქარხნების გაშენებაშიც საომარ მოთხოვნილების მოსაზრებით ხელმძღვანელობსო საბჭოთა კავშირი. ასე, ნაგულისხმევია, რომ ტერიტორია, რომელიც საზღვრიდან იმყოფება სიშორეზე არა უმეტეს 500 კილომეტრისა, უზრუნველყოფილი არ არის მტრის დარბევიდან; შემდეგი ზონა კიდევ 500 კილ. მანძილზე სანახევროდ არის უზრუნველყოფილი და მხოლოდ შემდეგი ზონა ტერიტორიისა ითვლება სავსებით უზრუნველყოფილად. რუსეთის ტერიტორიაზე პირველი ზონა მიყვება ტვერს, ბრიანსკს, პოლტავას, აზოვის ზღვას, მეორე—ნიჟნი ნოვგოროდს, ტამბოვს, ცარიცინს. ამ სამხედრო სტრატეგიის მოთხოვნილებით ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლება ეკონომიურ აღმშენებლობაში და მძიმე ინდუსტრიის ახალ წამოწყებებს უმთავრესად მესამე ზონაში ათავსებს (ნიჟნის, ტამბოვის და ცარიცინის იქით). ასე, ორი უდიდესი წარმოება შავი ლითონის მოწყობილია ურალში და ციმბირში; მხოლოდ ორი «ნახევრად-საშიშარ» ზონაში—ეკატერინოსლავში და ერთი კრივოი როგში («საშიში» ზონა) და ისიც იმიტომ რომ ძალიან მდიდარია რკინის მადნითო.

სოციალიზმის პერსპექტივები საბჭოთა რუსეთში

კარლ კაუცკისა.

(დასასრული)

4. ინდუსტრიალიზაცია და გაღატაკება.

ბაუერი, რა თქმა უნდა, ჰფიქრობს, რომ რაც ეხლახან რუსეთში ხდება არ წარმოადგენს განსაკუთრებულ რამეს:

> «აგრარიულ ქვეყნების სწრაფი ინდუსტრიალიზაცია მუდამ ძლიერ მძიმე მსხვერპლით უნდა იქნას გამოსყიდული. ამის მაგალითს იძლევა ინგლისის ისტორია მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 პირველ ნახევარში, დასავლეთ და შუა ევროპის ისტორია მე-19 საუკუნის ორმოციან წლებიდან ოთხმოციან წლებამდე, იაპონიისა და ინდოეთის ისტორია უკანასკნელ ათეულ წელთა განმავლობაში («რაციონალიზაცია», გვ. 209).

შორს წაგვიყვანდა იმის დამტკიცება, რომ თუ მუშათა ზოგიერთ ფენებს ზემოაღნიშნულ ქვეყნებში და პერიოდებში საზარელი გაჭირების ატანა ხვდათ, არსად იქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება მოსახლეობის საერთო მასის იმ უდიდეს გაღატაკებაზე რომელსაც რუსეთში აქვს ადგილი, რომ მაშინდელი გასაჭირი შორიდანაც კი არ უდგება დღევანდელ საბჭოთა რუსეთის გასაჭირს.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. მარქსმა და ენგელსმა დაწვრილებით დაასურათეს ფაბრიკის საშინელებანი ინგლისში. და მათ არასოდეს უთქვამთ რომ ეს საშინელება აუცილებელი იყო ინდუსტრიალიზაციის ხელის შესაწყობათ. პირიქით, ისინი ფიქრობდენ, რომ ეს საშინელი გაღატაკება, მას რომ საერთო ხასიათი მიეღო, საფრთხეში ჩააგდებდა ხალხების თვით ფიზიკურ არსებობას. კაპიტალისტურ ინდუსტრიის პირველ ხანაზე ინგლისში, რომელიც სახეში აქვს ბაუერს, მარქსი სწერდა: «მტაცებლობის ბრმა ჟინი მოეკიდა თვით ძირს ერის საარსებო ძალისას» («კაპიტალი», ტ. I).

ინგლისი დაიქცეოდა თავის ინდუსტრიასთან ერთად, რომ ის შერიგებოდა ამ მტაცებლობის ჟინის შეუზღუდველ დიქტატურას. მისი ინდუსტრიალიზაცია უზრუნველჰყო სწორედ იმ გარემოებამ, რომ მოსახლეობას, მისი ისტორიული განვითარების წყალობით, უნარი შესწევდა დაეძლია ყოველი დიქტატურა. ინგლისელებმა ევროპის კონტინენტის ხალხებზე ადრე, მე-17 საუკუნეში, დაამხვეს მონარქიული თვითმპყრობელობა, და კაპიტალისტურ თვითმპყრობელობასაც ევროპის სხვა ერებზე ადრე დაუდვეს ზღვარი მათი პროფესიული კავშირების და შრომის დაცვის კანონმდებლობის საშუალებით...

ბაუერი არ ლაპარაკობს შეერთებულ შტატებზე. ეს იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში აგრარიული ქვეყანა და ყველაზე უფრო სწრაფად გახდა ინდუსტრიული ქვეყანა და ბოლოს ყველაზე უძლიერესიც. ხოლო ამისათვის მას არ დასჭირებია თავისი მუშებისთვის მძიმე მსხვერპლის დაკისრება არსად მთელს ქვეყანაზე მუშები არ მდგარან იმ თავითვე ისეთ მაღალ საფეხურზე როგორც შეერთებულ შტატებში და ეს იმ გარემოების წყალობით, რომ კაპიტალის დიქტატურა მეტად საგრძნობლად იყო შეზღუდული თავისუფალი მიწების ჭარბობით. ამან შესძინა ამერიკელ მუშებს—აღზრდილს არა პოლიციურ რეჟიმში, არამედ სრულს თავისუფლებაში—ის თვითშეგნება, ის წინააღმდეგობის ძალა, ის გონებრივი დაწინაურება, რომელმაც მათ შეაძლებია შეექმნათ წარმოების პროცესში გაცილებით მეტი, ვინემ სხვა ერების მუშებს, მიეღწიათ ერთ და იმავე დროს უმაღლეს ხელფასს და შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას. სულ სხვაა ბედი იმ აგრარიულ ქვეყნებისა, სადაც ევროპიელ მყვლეფელთ საქმე დაურჩათ ისეთ მოსახლეობასან, რომელსაც არ შესწევდა ძალა მათთვის წინააღმდეგობა გაეწია და რომელმაც ცხვარივით აიტანა მასზე დაკისრებული უმძიმესი მსხვერპლი. იქ სწრაფი ინდუსტრიალიზაცია კი არ მომხდარა, არამედ დაინგრა არსებული ინდუსტრია და კულტურა, ხოლო მათ ადგილას უმაღლეს ინდუსტრიამ და კულტურამ ფეხი ვერ მოიკიდა. ასე მოხდა კოლონიებში. მეფეთა რუსეთშიც, სადაც მოსახლეობას არ შესწევდა ძალა თავიდან აეცილებია მასზე დაკისრებული მსხვერპლი, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია დიდი ხნით შეფერხდა.

სოციალდემოკრატიის და თანამედროვე პროფესიულ კავშირების წრეებში საყოველთაოდ მიღებულია ის შემეცნება, რომელზედაც ჩვენ უკვე ზევით ვილაპარაკეთ: რაც უფრო მაღალია მუშის ყოფაცხოვრების დონე, მისი განათლება და თავისუფლება, მით უფრო მაღალია აგრეთვე მისი შრომის ნაყოფიერება, მით უფრო დიდია სათანადო ინდუსტრიის საკონკურენციო უნარი მსოფლიო ბაზარზე. ამ შემეცნების დავვარათ, დღეს სწორედ მუშები იცავენ თავიანთ კლასიურ ინტერესებთან ერთად აგრეთვე თავისი ქვეყნის წარმოების საერთო ინტერესს; კაპიტალისტები კი, პირიქით, თუმცა თეორიულად აღიარებენ ამ შეხედულების სისწორეს, პრაქტიკულად, ბევრი სიხარბით შეპყრობილნი, მუდამ ეწინააღმდეგებიან მას, როცა ამის ძალა შესწევთ.

სწორედ დღეს ფიქრობენ ისინი, რომ მსოფლიო კრიზისის უბედურება განსაკუთრებით ხელსაყრელ საბაბს აძლევს მათ მუშებს მძიმე მსხვერპლი დააკისრონ მეურნეობისა და კაპიტალის დაგროვების სასარგებლოთ. მით უფრო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მისწრაფების არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც შებრძოლება. ხოლო ამას არამც თუ არ აადვილებენ, არამედ აძნელებენ, როცა აყენებენ დებულებას თითქოს ჩვენი პარტიის და ჩვენი პროფ. კავშირების შეხედულება შესახებ ინდუსტრიის წინწაწევისა მუშების ყოფა ცხოვრების მაღალი დონის და მათი ნაკლები დატვირთვის საშუალებით ყველა პირობებში არ იყოს სწორი.

«დამშევის» მეთოდი, რომელსაც ჩვენთვის სამართლიანი აღშფოთებით უკუვაგდეთ, არ უნდა ვიცნათ არც «სხვებისათვის». ის იმდენ ნივთიერ ღირებულებას ვერ შექმნის, რამდენ ზიანსაც ადამიანურ საწარმოო ძალებს მიაყენებს. ის არ გამოდგება წარმატებულ და ხანგრძლივი ინდუსტრიალიზაციის საშუალებათ და სწორედ რომ არ ივარგებს სოციალიზმის გზათ, რადგან სოციალიზმის გზაზე შედგომას შესძლებენ მხოლოდ ყოველმხრივ დაწინაურებული ადამიანები, პროლეტარები, ნასწავლნი, ფიზიკურად გამძლენი, მტკიცე ხასიათისანი, თავისუფალ ორგანიზაციის ატმოსფერაში მომზადებულნი «ხალხის თვითგამორკვევისათვის მის შრომის პროცესში», როგორც ოტო ბაუერმა ძალიან ლამაზად განმარტა სოციალიზმი.

მიუხედავათ იმისა, რომ თვითმპყრობელობის ხანაში პროლეტარიატს რუსეთში ძლიერ მცირე საშუალებები ჰქონდა პოლიტიკური და სოციალური მოქმედებისა, მუშების დიდმა ნაწილმა შესძლო ეს მცირე საშუალებებიც საუკეთესოთ გამოეყენებია და თავის მოწინააღმდეგეებთან მძიმე და დაულალავ ბრძოლებში თანდათან უფრო და უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. როცა 1917 წელს თვითმპყრობელობა დაემხო, მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მუშების რჩეული ნაწილი დემოკრატიის ახალ პირობებში კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით განაგრძობდა წინსვლას და მასასაც გაიყოლიებდა თან.

მაგრამ ბოლშევიკებმა დააწესეს ძალმომრეობის ახალი რეჟიმი, ბევრად უფრო სულშემხუთავი ვინემ მეფის, და მით მოსპეს ყველა ის ჩანასახი, რომელიც ასე იმედიანათ ვითარდებოდა. ძველი რევოლიუციონერი იდეალისტები, რამდენადაც ისინი არ გაკომუნისტებულან, ან დახოცეს, ან უცხოეთში განდევნეს, ან და ციხეებში დაამუნჯეს. თვით ძველ ბოლშევიკთაგან მრავალნი გაქრენ, დაიხოცენ, მორჩილათ დადუმდენ ან და ბატონობაში გაიხრწნენ. მოზარდ ახალი თაობის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას. ეს უმცირესობა მომეტებულათ შემკულია ხასიათის ყველა იმ სიმახინჯით, რომელსაც უსაზღვრო ბატონობის პყრობა მუდამ ავითარებს, კომუნისტებში ისე როგორც მეფეთა წრეში. ხალხის უდიდეს მასებს კი ართმეული აქვს ადამიანის ყოველივე ღირსება, მოქმედების ყოველივე უნარი. ისინი ჩამოქვეითებული არიან დამშეულ და დაბეჩავებულ სამუშაო პირუტყვის დონეზე. რომ ისინი უსიტყვოთ ქედს იხრიან, უმოქმედოთ და ენის შემოუბრუნებლად იღებენ ყველა იმ მძიმე მსხვერპლს და გაჭირებას, რასაც მათ არგუნებენ—თუმცა გული სიძულვილით აქვთ აღსავსე—, ამაში მე ვხედავ არა გმირულ რამეს, არამედ უდიდესათ სამწუხარო მოვლენას.

იმ სიმაღლიდან, რომელიც მიღწეული ჰქონდა რუსეთის პროლეტარიატს, ის ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ წლიდან წელს უფრო და უფრო ღრმად დაეშვა ძირს. ის არამც თუ არ უახლოვდება სოციალიზმს, არამედ უფრო და უფრო შორდება მას, უფრო და უფრო ჰკარგავს უნარს «თვითგამორკვევისას შრომის პროცესში». სახელმწიფო მონობას სოციალიზმათ ვერ გადააქცევს ის გარემოება, რომ მონათა მპყრობელნი თავის თავს კომუნისტებს უწოდებენ.

5. სოციალიზმის გამოსახულების ფორმები.

... თავის მოხსენებაში ვენის კონგრესზე ბაუერმა სთქვა:

> «რუსეთი გვიჩვენებს, რომ ამ (დიქტატურის და ტერორის) გზითაც შეიძლება კაპიტალისტებისათვის საწარმოო საშუალებების ჩამორთმევა, მფლობელ კლასების ხელში მყოფ საკუთრების და განათლების მონოპოლიის მოსპობა; რომ შესაძლებელია მოხდენილ იქნას ცდა კაპიტალისტურ ანარქიის შეცვლისა საზოგადოებრივი წარმოების პლანის-მიხედვითი სამეურნეო ორგანიზაციით».

აქ სრულიად სწორად ჩამოთვლილია სამი უმნიშვნელოვანესი ფორმა სოციალიზმის გამოსახულებისა: საერთო საკუთრება საზოგადოებრივად მართულ საწარმოო საშუალებებზე, საყოველთაო განათლება, პლანის მიხედვითი მეურნეობა. მე მინდა მხოლოდ ფორმულიროვკას სხვა სახე მივცე, არა იმიტომ რომ ის შემცდარი იყოს, არამედ იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონეცის მაღაროებში, რომელიც 75 პროც. ნახშირისას იძლეოდა, მუშაობა ძალიან გაანელეს, რადგან იგი 650 კილ. ახლავს საზღვარს, და ნახშირის წარმოების ცენტრი ვოლგის გადაღმა—კუზნეცკში (დას. ციმბირი) და კარაუდინსკში (კირგიზია) გადაიტანეს. აქვე აპირებენ ფერად ლითონის წარმოების ბაზრის შექმნასო. ყველა საავტომობილო ქარხნების გაშენება «საიმედო ზონებშია» განზრახული: ნიჟნი-ნოვგოროდში (უკვე მზადაა), ურალზე, ციმბირში. ამას დავუმატოთ ახლა «ოსოვიახიმი», რომელიც რამდენიმე მილ. წევრს აკავშირებს, თავს უყრის გაზის დამზადების საქმეს. პატრონია 280 დაწესებულების, სადაც წლიურათ 35 მილ. კილოგრ. ქიმიური ნაწარმოები მზადდება, და სხვ. და სხვ. მათი სამხედრო ბიუჯეტი, გარდა ამისა, ხომ 240 მილ. მანეთიდან (1922-1923 წ.) ექვსი წლის განმავლობაში 920 მილ. მანეთამდის (1928-1929 წ.) ავიდაო (გაზდილა 380 პრ.)..

როცა აი ასეთ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებენ შინ ბატონ-პატრონნი იმ სახელმწიფოსი «რომელიც 160 მილ. ადამიანს აერთებს», გარედ მათ ცარიელ სიტყვებს აბა როგორ დაუჯერებენ?

* * *

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოთა ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული ომის წინაალმდეგ და საყოველთაო განიარაღების იდეის სასარგებლოთ, ვერ იქმნა ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით გატარებული ვერც იმ წესით, როგორც ამას ნაციათა ლიგის პაქტი გულისხმობდა, და ვერც სხვა ისეთი წესით, რომელიც არაპირდაპირ მაინც ხელს შეუწყობდა მშვიდობიანობის ატმოსფერის ქვეყნად დამყარებას. ვინც ზრუნავს მშვიდობიანობისათვის, იმან უნდა იზრუნოს ისეთ ეკონომიურ პოლიტიკისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს ხალხთა ლოიალურ თანამშრომლობას ეკონომიურ სარბიელზე, უამისოდ ყოველივე ცდა ხალხთა ნამდვილ და საყოველთაო განიარაღებისათვის ფუჭად ჩაივლის.

პ. პ—ი.

◆

განიარაღების საკითხი და საერთაშორისო ომის საშიშროება

ვერსალის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, რომელიც ეხება გერმანიის განიარაღებას, გარკვევით ამბობს, რომ გერმანია ჰყრის იარაღს და მით იქმნება შესაძლებლობა სხვა ქვეყნებმაც დაჰყარონ იარაღიო.

გერმანია განაიარაღეს. ეს ოფიციალურათ იყო შემოწმებული და აღნიშნული სპეციალური კომისიის მიერ მარშალ ფოშის თავმჯდომარეობით. თანახმათ ვერსალის ხელშეკრულებისა განიარაღებაზე ამის შემდეგ სხვებსაც უნდა ეზრუნა. ერთ დროს განზრახულიც იყო განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია 1921 წელს შეკრებილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ამ უკანასკნელ ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში მრავალჯერ შეკრებილა სხვადასხვა კომისიები და კომიტეტები განიარაღების საკითხის შესასწავლათ და საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებლათ, მაგრამ ამ მზადებას ბოლო აღარ უჩნდა და კონფერენციის მოწვევის საკითხი მუდამ იდებოდა. როგორც იქნა, ეხლა ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა.

განიარაღების კონფერენცია გაიხსნა მეტათ არახელსაყრელ და ცუდ საერთაშორისო პირობებში.

ჟენევაში განიარაღების გეგმებზე ლაპარაკი, შორეულ აღმოსავლეთში კი ზარბაზნების გრგვინვაა.

იაპონიამ ისარგებლა მსოფლიო ეკონომიური კრიზისით. ეკონომიური კრიზისია ამერიკაში. ეკონომიურ კრიზის განიცდის აგრეთვე ევროპის სახელმწიფოები, რომელნიც დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებათ და რომელთა შორის სასტიკი წინაალმდეგობა და ქიშპობაა გაჩაღებული. დიდი კრიზისი და ანარქიაა აგრეთვე მთელს ჩინეთში, სადაც ევროპის, თუ ამერიკის აუარებელი კაპიტალია დაბანდებული და სადაც მშვიდობიანათ ცხოვრება და მუშაობა შეუძლებელი გახდა ყველასათვის. ჩინეთი გახდა ასპარეზი ჩინელ გენერლების ერთმანეთ შორის, თუ ბოლშევიკების ინტრიგებისა.

თავის იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლათ შექმნილი მდგომარეობით მოხერხებულათ ისარგებლა იაპონიამ. ის შეიჭრა მანჯურიაში, თანდათანობით დაიკავა მთელი მისი ტერიტორია და დაიწყო იქ სტრატეგიული პოზიციების გამაგრება.

ერთა ლიგაში ჩინეთის პროტესტმა ვერ მოახდინა სათანადო გავლენა და ლიგამ იაპონიის წინაალმდეგ ვერ მიმართა შესაფერ ზომებს. ერთა ლიგა სუსტი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ მას ვითომც, მართლა არ აქვს საშუალება შესაფერ რეპრესიებს მიმართოს იაპონიის წინაალმდეგ. ასეთი საშუალება ერთა ლიგაში შემავალ დიდ სახელმწიფოებს მოეპოება. ერთა ლიგის პაქტის ძალით მის წევრთ შეუძლიათ იაპონიას ეკონომიურ-ფინანსიური ბოიკოტი გამოუცხადონ. ასეთი რამ იაპონიას მეტათ დააფიქრებდა და ხელშეკრულების ასრულებას ის მეტი ყურადღებით მოეპყრობოდა. მაგრამ დიდ სახელმწიფოთა ინტერესები მოითხოვს ჩინეთში ვაჭრობის საშუალების ქონებას და იქ წესრიგის დამყარებას. მათ ეს პირადათ არ ძალუძთ და, თუ იაპონია კი იზამს ამას და ჩინეთს «ჭკუაზე მოიყვანს», ამის წინაალმდეგი აბა როგორ იქნებიან.

ასეთმა მდგომარეობამ იაპონია გაათამამა და მან ზარბაზნები დაუშინა ჩინეთის ისეთ ცენტრებს, როგორც შანხაი და ნანკინია. მან ეხლა უკვე მანჯურიის «დამოუკიდებლობა» გამოაცხადა და ცდილობს იქ მისი გავლენა და პროტექტორატი უზრუნველყოს.

მაგრამ საეჭვოა, რომ იაპონია მანჯურიით დაკმაყოფილდეს. მოსალოდნელია იაპონიამ კიდევ წაიწიოს წინ, საბჭოთა კავშირის საზღვრები გადალახოს, ვლადივასტოკი დაიკავოს და «დამოუკიდებელი» ციმბირის გამოცხადებასაც შეეცადოს.

იაპონია ჩქარობს წყნარი ოკეანეს რუსეთის ნაპირები დაიკავოს, იქ გამაგრდეს და, თუ მომავალში მას ამერიკასთან კონფლიქტი მოუვა, ამისათვის აქედანვე მზათ იყოს.

იაპონიამ უშოვა დრო რუსეთს და მას ყბებში სილას სილაზე სცემს. მოსკოვი თავს იკატუნებს და ცდილობს ყველას მოაჩვენოს, ვითომც ისეთი არაფერი მომხდარიყოს. ნამდვილათ კი უდიდეს პანიკას განიცდის.

მოსკოვი ცდილობს მისი დასავლეთი საზღვრები უზრუნველყოს და ამ მიზნით ენერგიულ მუშაობას აწარმოებს არათავდასხმის პაქტების დასადებათ ბალტიის სახელმწიფოებთან, პოლონეთთან, რუმინიასთან და საფრანგეთთან. ეს მას საშუალებას მისცემდა დასავლეთით ხელები თავისუფალი ქონოდა და მთელი მისი ყურადღება შორეულ აღმოსავლეთით მიექცია, ამით იაპონია შეეფიქრიანებია და ამ უკანასკნელის ძალზე გადიდებული მადა ცოტათი მაინც შეემცირებია. მაგრამ რუსეთმა ამ პაქტების დადება ჯერ ვერ მოახერხა და მისი დიპლომატიური მუშაობიდან დღემდის არაფერი გამოვიდა. რუსეთმა იაპონიასაც მისცა წინადადება არა თავდასხმის პაქტის დადების შესახებ, მაგრამ იაპონიამ მას ცივი უარით უპასუხა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იაპონიის ზრახვებს რუსეთის წინაალმდეგ.

ომი უკვე სწარმოებს შორეულ აღმოსავლეთში და მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაფართოება. მაგრამ ომის დიდი საშიშროება არსებობს აგრეთვე დასავლეთ ევროპაშიდაც. ამ მხრივ ყველაზე უფრო საფრთხილო მდგომარეობაა ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში. გერმანიაში დღეს ერთმანეთთან დატაკებულია დემოკრატიული და რეაქციონური ძალები და თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებს, აქედან ბევრი იქნება დამოკიდებული. გერმანიაში რეაქციის გამარჯვება იქნებოდა ევროპის სახელმწიფოთა შორის აუცილებელი კონფლიქტების და ომის დასაწყისის უტყუარი ნიშანი.

აი ასეთ დაჭიმულ ნერვების და საერთაშორისო მდგომარეობის მეტათ ცუდ და რთულ ხანაში გაიხსნა ჟენევაში განიარაღების კონფერენცია.

კონფერენციაზე თავიდანვე ორმა მთავარმა მიმართულებამ იჩინა თავი: ერთი მხრივ არიან გერმანია, იტალია, საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. ინგლისი და ამერიკა უფრო ამ პირველ ჯგუფს ემხრობა. მეორე მხრივ არიან: საფრანგეთი და მისი მოკავშირენი, ბელგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინია და იუგოსლავია, იაპონია კი უფრო ამ მეორე ჯგუფის სახელმწიფოებს თანაუგრძნობს.

პირველი ჯგუფის თითქმის ყველა სახელმწიფონი მოითხოვენ თავდასხმის ყველა სახის იარაღთა აღკვეთას და მოსპობას. ასეთ იარაღთა რიცხვს ეკუთვნის: წყალქვეშა ნავები, 10.000 ტონაზე ზევით სამხედრო გემები (ამ მოთხოვნას ინგლისი არ ეთანხმება), ტანკები, მძიმე არტილერია, სამხედრო ავიაცია და სხვ.

მეორე ჯგუფის სახელმწიფონი საფრანგეთის თაოსნობით და წინამძღოლობით წინადადებას იძლევიან, რომ თავდასხმის სახის იარაღები განსაზღვრულ პირობებში გადავიდეს ერთა ლიგის განკარგულებაში, მაგრამ არც ერთ ამ იარაღთაგანზე უარს არ ამბობენ.

საფრანგეთის პროექტს ერთა ლიგის შეიარაღების და ინტერნაციონალური ჯარის შექმნის შესახებ თითქმის ყოველგან, გარდა თვით საფრანგეთის მოკავშირე ქვეყნებისა, ცივათ შეხვდენ.

ფრანგების პროექტით იარაღთა შემცირების და განსაზღვრის საკითხი დამოკიდებულია საერთოთ მთელი მათი გეგმის მიღებისაგან და თვით ამ გეგმის მიღებაც კი დაქვემდებარებულია განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებისათვის.

საფრანგეთის ასეთ პროექტში მოწინაალმდეგენი ხედვენ ერთნაირ მანიოვრს: საფრანგეთს არ სურს განიარაღება და მიტომ გამოიგონა მან ეხლა ერთა ლიგის შეიარაღების და ინტერნაციონალური ჯარის შექმნის პროექტები. ჟენევის კონფერენციის მთავარი და პირდაპირი ამოცანა კი დღეს არის დაუყონებლივ მოხდეს ყველა ქვეყნების შეიარაღების საგრძნობი შემცირებაო.

ერთა ლიგის შეიარაღების და ინტერნაციონალური ჯარის შექმმის საკითხი წინედაც იყო წამოყენებული სოციალისტების მიერ. მხოლოთ ისინი ინტერნაციონალური სამხედრო ძალის შექმნის პირობათ არ აყენებენ ამა თუ იმ ხელშეკრულების ხელუხლებლობას, ან რაიმე სხვა პოლიტიკური პირობების წინასწარ მიღებას. მათი აზრით თვით საერთო განიარაღება შესაძლებელი რომ გახდეს, უნდა შექმნილ იქნას ყველა ერების უზრუნველყოფის გარანტია. ასეთი გარანტია კი იქნება სათანადო მატერიალური ძალებით შეიარაღებული ერთა ლიგა, რომელიც საჭიროების დროს ალაგმავს და დასჯის კიდევაც თავსდამსხმელ სახელმწიფოს.

ინგლისი და ამერიკა საერთოთ განიარაღების დიდ მომხრე სახელმწიფოებათ ით[illegible]ლია, ერთსაც და მეორესაც სურს განიარაღება მოხდეს სათანადო მაშტაბით, მხოლოდ ორივეს უნდა ზღვაზე ბატონობა შეინარჩუნონ.

იტალიას დღეს დიდათ უჭირს ფინანსიურათ და ამიტომ ის შეიარაღების რაც შეიძლება მეტ შემცირების წინადადებას იძლევა, მაგრამ თხოულობს, რომ საფრანგეთის შეიარაღება მისას არ აღემატებოდეს. ამავე დროს ეს მას ხელს არ შეუშლის რეგულიარული ჯარის გვერდით ყავდეს 400.000 კარგათ შეიარაღებული ფაშისტური მილიციონერი.

ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანია განიარაღებულია და მისი დღევანდელი მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს გერმანიის სოც. დემოკრატია, სრულიათ სამართლიანათ მოითხოვს კონფერენციაზე, რომ მასთან ერთათ და იმავე მაშტაბით სხვებიც იქნას განიარაღებული. გერმანელი მემარჯვენენი და ფაშისტები კი დიდ აგიტაციას ეწევიან გერმანიაში და მოითხოვენ გერმანიის ხელახლათ შეიარაღების თავისუფლებას.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი—ლიტვინოვი კონფერენციაზე რადიკალური წინადადებით გამოდის. ის მომხრეა ინტეგრალური და დაუყონებლივი საერთო განიარაღების. ცინიკურათ აცხადებს, რომ საბჭოთა რუსეთი მუდამ წინაალმდეგი იყო ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის; წინაალმდეგი იყო აგრეთვე ყოველგვარ კონტრიბუციების, ტერიტორიალურ ანექსიების, ერთი ერის მიერ მეორეს დამორჩილების და მუდამ ითხოვდა ერთა თვითგამორკვევის უფლებასო.

ლიტვინოვის ეს ცინიკური განცხადება სათანადო ირონიით იყო აღნიშნული ევროპის პრესაში. მას მოაგონეს საქართველოს და კავკასიის სხვა ერების ძალით დაპყრობა, პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დანგრევის ცდა და 1929 წელს ჩინეთის ტერიტორიაზე გენერალ ბლიუხერის მეთაურობით რუსის ჯარების შეჭრა და იქ რკინის გზის დაკავება.

დიდი ომის შემდეგ, 1922 წელს ლენინი ამბობდა, დამთავრდა ციკლი იმპერიალისტური ომებისა, აწი უნდა შევუდგეთ რევოლიუციონური ახალი ომების მზადებას კაპიტალიზმის დასანგრევათ და სოციალიზმის დასამყარებლათო. ამ მის ანდერძს მისი მოწაფეები გულმოდგინეთ ასრულებენ.

არც ერთ ქვეყანაში არ სწარმოებს ომისათვის ისეთის გაფაციცებით მზადება, როგორც ამას დღეს საბჭოთა რუსეთში აქვს ადგილი. მთელი მისი ყურადღება უმთავრესათ შეიარაღების და სამხედრო საქმეებს ექცევა. მისი ხუთი წლის გეგმის ერთათ ერთი დანიშნულებაც შეიარაღება და ომისთვის მზადებაა.

ბოლშევიკებს არც კი დაუმალავს როდისმე, რომ ისინი კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას საერთაშორისო ომისაგან მოელიან და მთელ იმედებს მასზე ამყარებენ.

დიახ, საერთო ინტეგრალური განიარაღება ერთათ ერთი საშუალებაა ყველა უზრუნველყოფილი იქნეს ომის საშიშროებისაგან. ეს იქნებოდა საუკეთესო საშუალება ყველა სახელმწიფოების ერთმანეთისადმი ნდობის აღსადგენათ და მშვიდობიანი ცხოვრების დასამყარებლათ. ამაზე ფიქრობენ დღეს ყველა გულწრფელი სოციალისტები. მხოლოთ ბოლშევიკების ლაპარაკი საერთაშორისო ინტეგრალურ განიარაღებაზე არის სიტყვების უბრალო რახარუხი.

ლიტვინოვი მის განიარაღების პროექტში ერთ სიტყვასაც არ ამბობს განიარაღების საერთაშორისო კონტროლზე. ეს კი არ არის უბრალო გულმავიწყობის საქმე. საერთოთ ბოლშევიკები წინაალმდეგი

რომ ჩვენი დავის საგნისათვის ის საკმარისად სრული არ არის.

ეჭვი არაა, ჩვენ გვინდა ჩამოვართვათ კაპიტალისტებს საწარმოო საშუალებანი. ჩვენ უნდა ვთქვათ აგრეთვე თუ ვინ უნდა განაგებდეს კაპიტალისტებისათვის ჩამორთმეულ საწარმოო საშუალებებს. სხვა ადგილას ბაუერი თვითვე ამბობს სოციალიზმი არის «ხალხის თვითგამორკვევა მის შრომის პროცესში»-ო.

კაპიტალისტების ადგილი რომ სხვა უმცირესობამ დაიჭიროს, რომელიც ხალხისაგან დამოუკიდებლივ და ხშირად მის საწინაღმდეგოთ განაგებს საწარმოვო საშვალებებს, მესაკუთრეთა ასეთ ცვლილებას არაფერი საერთო სოციალიზმთან არ ექნება. არის ფორმები აღმოსავლურ დესპოტიისა, რომლებშიც სახელმწიფოს ბატონ-პატრონი იმავ დროს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საწარმოვო საშვალებათა ბატონ-პატრონიც არის [*]... ამ სახის სახელმწიფო მეურნეობასან შედარებით კაპიტალისტური საწარმოვო წესი გაცილებით ნაკლებათ მჩაგვრელია, მის წინაღმდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო იმედიანი.

ოტო ბაუერი თვით აღიარებს, რომ საბჭოთა რუსეთში საწარმოვო საშვალებებზე ბატონობს არა ხალხი, არამედ მთავრობა, რომელიც ამის წყალობით «ხალხის ბატონიც» არის...

ჯერ-ჯერობით, მაშასადამე, ის რაც რუსეთში არსებობს არის არა სოციალიზმი, არამედ მისი წინაალმდეგობა. სოციალიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიქნას მისგან, თუ მოხერხდა დღეს გაბატონებულ ექსპროპრიატორთა და უზურპატორთა ექსპროპრიაცია. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალიზმის მწყურვალე მასები, რამდენადაც საქმე ეხება საწარმოვო საშვალებათა განკარგულების საკითხს, სდგანან რუსეთში იმავე პრობლემის წინაშე, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში. მდგომარეობას სრულიად არ სცვლის ის გარემოება, რომ ექსპროპრიაცია მოსახდენი ექსპროპრიატორები რუსეთში თავისთავს კომუნისტებს უწოდებენ, განსხვავება საბჭოთა რუსეთსა და ევროპას შორის მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშები უკვე დღეს საკმარისად ძლიერნი არიან, რათა კაპიტალის დიქტატურას მრავალგვარი ზღვარი დაუდვან; აგრეთვე ძალთაგანწყობილება აქ ისეთია, რომ მნიშვნელოვან სამეურნეო მონოპოლიათა სოციალიზაცია შეიძლება გახდეს შედეგი უახლოესი, მუშებისათვის ხელსაყრელი საპარლამენტო არჩევნებისა, მაშინ როდესაც რუსეთში საწარმოვო საშვალებათა განკარგულება არამც თუ უაღრესად ცენტრალისტურად თავმოყრილია გაბატონებულთა ხელში, არამედ ის ამავე დროს დაყრდნობილია უაღრესად თვითმპყრობლურ სახელმწიფო აპარატზე, ხოლო მუშებს, როგორც ეს ჩვენ ზევით ვნახეთ, დაქსაქსულთ, თავისუფალ ორგანიზაციებს, თავისუფალ პრესას, თავისუფალ არჩევნებს მოკლებულთ, წართმეული აქვთ ყოველივე უნარი წინაალმდეგობისა.

ამგვარად, მართალია საბჭოთა რუსეთმა ჩამოართვა კაპიტალისტებს საწარმოო საშვალებანი, მაგრამ ეს მოხდა ისეთი წესით და ისეთ პირობებში, რომ კაპიტალისტების ალაგი დაიჭირეს კიდევ უფრო ძლიერმა და სასტიკმა მბრძანებლებმა და სოციალიზმის გზაზე პროლეტარიატს აღუმართეს უფრო დიდი დაბრკოლებები, ვინემ იმ განვითარებულ კაპიტალიზმის ქვეყნებში არსებობს, საცა დემოკრატიას ფესვები აქვს გადგმული.

ასეთივე მდგომარეობაა განათლების მონოპოლიის სფეროში. მართალია, რომ ჩვენ, როგორც ამას ბაუერი ამბობს, გვინდა შეძლებულ კლასთა განათლების მონოპოლიის მოსპობა. მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენ გვსურს თანამედროვე განათლების საგანძური ყველასათვის ხელმისაწვდენი გავხადოთ.

კომუნისტების განზრახვაში ხომ ეს არ შედის. ისინი აწესებენ რუსეთში განათლების ახალ მონოპოლიას—კომუნისტებისათვის. ეს არის დიქტატურის ერთერთი საშუალებათაგანა მისი ბატონობის განმტკიცებისათვის.

თუმცა სახალხო სკოლის მასწავლებლის შრომა საკმარისად მძიმეა, სახალხო სკოლები მძიმე ინდუსტრიას მაინც არ ეკუთვნიან, და ამიტომ განწირული არიან, როგორც ყველაფერი რუსეთში ხუთწლედის ხანაში, კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლან სიღატაკეში და ტალახში, მათი უვარგისი შენობების, სასკოლო საგნების და საშვალებების უქონლობის, მოწაფეების და მასწავლებლების დამშევის გამო.

მაგრამ იქნებ კიდევ უარესი იყოს სრული განადგურება სულიერი თავისუფლებისა, რაიცა ხვდება თვით კომუნისტთა მასებსაც კი. სულიერ თავისუფლების გარეშე ხომ სრულიად შეუძლებელი ხდება ჭეშმარიტი განათლება, ნამდვილი ზიარება ჩვენი დროის ცოდნის.

ეს გარემოება ყველაზე უფრო ენერგიულათ დაასურათა თვით ოტო ბაუერმა. თავის 9 მაისის მოხსენებაში მან განაცხადა:

...«არ უნდა შევამციროთ მნიშვნელობა იმ გარემოებისა, რომ დიქტატურის ასეთი სისტემა (როგორც რუსეთში) სპობს ყოველივე სულიერ თავისუფლებას. რუსეთში არსებობს მხოლოდ მთავრობის მიერ ნებადართული მეცნიერება. ვინც სხვა აზრისაა ვინემ მართველობის მიერ ნაკარნახევი მეცნიერება, თავის ადგილს ჰკარგავს, უნდა იშიმშილოს და კმაყოფილი იყოს თუ სადმე არ გადაასახლეს ან არ დახვრიტეს. არ სთქვას ვინმემ: ეს რა ჩვენი საქმეა, ეს ეხება მხოლოდ პროფესორებს და არა მუშებს! ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაწნია, მოპოებულ იქნა სულიერ თავისუფლებისათვის ბრძოლაში...

«ეს ატმოსფერა ჯაშუშობისა და მოხელეთა ძალმომრეობისა, ეს მოსპობა სულიერი თავისუფლებისა, მთელი ეს უთავისუფლებობა, ყველაფერი ეს შედის იმ მსხვერპლში, რომელიც შეადგენს საქმის საფასურს».

რომელი საქმის? სტალინს და მისი ამალის მართველობის გახანგრძლივების თუ მშრომელი ხალხის განთავისუფლების? პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ ზევით გავეცით. ყოველ შემთხვევაში ბაუერის სიტყვები ერთ რამეს მოწმობენ: არსად ხალხისა და თვით კომუნისტების მასები იმდენათ არ არიან მოკლებულნი საშუალებას გაიგონ რა ხდება ქვეყანაზე და მეცნიერებაში, გამოარკვიონ ჭეშმარიტება და შეითვისონ იგი,—როგორც მოკლებული არიან ამას რუსეთში. კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხის მასებს ასჯერ მეტი საშვალება გააჩნიათ მოიპოვონ ნამდვილი ცოდნა და არა მხოლოდ კომუნისტების მიერ ნაღეჭი ფრაზები; ასჯერ მეტი საშვალება გააჩნიათ გასტეხონ გაბატონებულ ჯგუფთა განათლების მონოპოლია, ვინემ ე. წ. «პროლეტარულ» დიქტატრის ქვეყანაში. მხოლოდ ფაშისტურ იტალიას შეუძლია გაბედულათ შეეცილოს ამ საქმეში საბჭოთა რუსეთს. სწორედ საყოველთაო განათლების სფეროში რუსის ხალხმა ჯერ კიდევ ის უნდა მოიპოვოს, რაც დასავლეთის ხალხებს დიდი ხანია გააჩნიათ. ამის მოპოება შეუძლებელია, სანამ დიქტატურა მძვინვარებს. აქაც ეს დიქტატურა კი არ გვაახლოვებს სოციალიზმს, არამედ გვაშორებს მას.

მაგრამ სხვაში თუ არა პლანისდაგვარ მეურნეობაში ხომ მაინც დგანან ჩვენზე უფრო მაღლა რუსები? განა სწორედ ამ წუთში არ განვიცდით კაპიტალიზმის ყველა ქვეყნებში კაპიტალისტური ანარქიის მიერ გამოწვეულ გულშემზარავ არევ-დარევას? და ამ არევდარევის საბედნიერო წინაალმდეგობას არ წარმოადგენს პლანისდაგვარათ მოწესრიგებული სამეურნეო ცხოვრება საბჭოთა რუსეთში?

შეიძლება მართლაც ასე იფიქროს კაცმა, იქ საცა მთელი საწარმოვო აპარატი ერთ ხელშია თავმოყრილი, მისი პლანისდაგვარად დამუშავება თავისთავად უნდა ეწყობოდეს. რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ იქნებოდა აუცილებლათ სოციალისტური «თვითგამორკვევა ხალხისა მისი შრომის პროცესში». დესპოტიის სახელმწიფო მეურნეობაც შეიძლება პლანისმიხედვით იყოს გაწესრიგებული. ადამიანთა ყოველგვარი საზოგადოებრივი თანამშრომლობა, თუ ის მარტო სისხლის ნათესაობაზე არ არის აღმოცენებული, საჭიროებს პლანისდაგვარ მოწესრიგებას, უამისოდ ის მიზანშეწონილათ ვერ იწარმოებს. ამას მოწმობს თვითეული ფაბრიკა.

ბოლშევიკებმაც მათი ბატონობის დასაბამითვე სცადეს ასეთი მოწესრიგება. მაგრამ ეს მათ არ გამოუვიდათ და ვერც გამოუვიდოდათ იმ თავისებურ პირობების მიზეზით, რომელშიც მათ ხელისუფლება აიღეს.

როცა დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალდემოკრატები პოლიტიკურ ძალაუფლებას მოიპოვებენ, მოსახლეობის უმრავლესობა უკვე მათი პროგრამის მომხრე იქნება. ჩვენ შეგვეძლება დაყრდნობა ჩვენი გაწვრთნილი იდეური ამხანაგების დიდ მასიურ ორგანიზაციებზე, როგორიცაა პოლიტიკური, პროფესიული, კოოპერატიული და სხვა დარგის ორგანიზაციები, სპორტიული, თავისუფალ მოაზრეთა და სხ. ჩვენს ხელმძღვანელებს მოპოებული ექნებათ უკვე დიდი გამოცდილება ფართო საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოწყობისა და მართვის საქმეში; მნიშვნელოვანი ეკონომიური, როგორც თეორიული ისე პრაქტიულ, ცოდნა ექნებათ შეძენილი მათ როგორც დეპუტატებს პარლამენტებში და ადგილობრივ თვითმართველობებში, როგორც სახელმწიფო მოხელეებს და მინისტრებს, და, მეორე მხრით, მუშათა კოოპერატივების და მუშათა ბანკების ხელმძღვანელთ, დიდი გაზეთების მმართველთ და სხვ. და მათ მიემატება მრავალი დამხმარე აგრეთვე ინტელიგენტთა წრიდან, რომელთაც პრაქტიკულ ხელმძღვანელთა თანამდებობა ეჭირათ კერძო წარმოებაში.

ეს შეძლებას მისცემს ჩვენს პარტიას, როგორც კი ის ძალაუფლებას მოიპოვებს, შეიტანოს პლანი და სისტემა წარმოების პროცესში და დაიუფლოს ის. მათი ეკონომიური ცოდნა და მასების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა დაიფარავს მათ ავანტიურებისაგან, აიძულებს მათ თვითეული ნაბიჯი

---

[*] ეგვიპტეს მეფის მოადგილის, მეჰმედ ალის შესახებ (1799—1849) შემდეგს სწერენ:

«მეჰმედ ალი გახდა თავის იმპერიის საერთო მიწათმფლობელი და მიწის მეურნე, აგრეთვე საერთო მრეწველი თავის ქვეყნისა. მის ქვეყანაში მოყვანილ ბამბას და აბრეშუმს მონებეთ ქცეული ფელაჰები ამუშავებენ მეფის მოადგილის ფაბრიკებში. მხოლოდ მათი ნაწარმოებით უნდა დაეკმაყოფილებიათ ადგილობრივ მცხოვრებთ თავისი მოთხოვნილებები». (ფლატე. რესტავრაციის და რევოლიუციის ხანა. გვ. 376).

ეროვნული

არიან ყოველგვარ კონტროლის. მათ სურთ სხვების განიარაღება, მაგრამ თვით ბოლშევიკებს კონტროლს არავინ არ უნდა უწევდეს. საერთაშორისო კონტროლის გარეშე კი საერთო ინტეგრალურ განიარაღებაზე ლაპარაკი უბრალო თვალთმაქცობა და იეზუიტობაა.

ლიტვინოვის გამოსვლებს დღეს ჟენევაში მიზნათ აქვს ერთი მხრით ევროპის მუშებში პროპაგანდის გაწევა, მეორეს მხრით კი ზოგ გულუბრყვილო ხალხის ბოლშევიკების «გულწრფელობაში» და მათი პაციფიურ მიდრეკილებაში დაჯერება. ნამდვილათ კი, საბჭოთა რუსეთს სურს დრო მოიგოს, შიგნით მომაგრდეს და, როცა შესაფერი მომენტი დადგება, შეტევაზე თვითონ გადავიდეს.

მაგრამ ამ უკანასკნელ 13-14 წლის განმავლობაში ბოლშევიკებს საკმაოთ გაეცნენ: მათ არ აქვთ სიტყვა, მორალი, ხელშეკრულებებს ასრულებენ იმდენათ, რამდენათ ეს მხოლოთ მათ ინტერეს შეადგენს. რა გასაკვირია, რომ მეზობლები მათ არ ენდობა. ამიტომ არის, რომ ესენი მოსკოვთან პაქტის დადებას მაინდამაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ. არც პოლონეთის და რუმინიის მოკავშირე საფრანგეთი ჩქარობს რუსეთთან რაიმე პაქტის დადებას. მოსკოვი, სიტყვით რევოლუციონერი, საქმით კავშირშია საფრანგეთის მოსისხლე მტრებთან, გერმანიის ფაშისტ-რეაქციონერებთან, რომელნიც აშკარათ, თუ ფარულათ იარაღს ისხამენ. ამით აიხსნება უმთავრესათ ის, რომ საფრანგეთი და მისი მოკავშირენი ჟენევის კონფერენციაზე განიარაღების საკითხში სხვებზე ნაკლები ოპტიმისტები და რადიკალები არიან. საფრანგეთის წარმომადგენელის, ტარდიეს წინადადებით იყო რომ ლიტვინოვის პროექტი საერთო ინტეგრალური განიარაღების შესახებ ჟენევის კონფერენციის მიერ უარყოფილ იქნა.

განიარაღების საკითხის შესაფერისათ გადაჭრას დიდათ აფერხებს ის ფაქტიც, რომ ევროპის ქვეყნებში დღეს სასტიკი ბრძოლაა დემოკრატიულ და რეაქციონურ ძალთა შორის. საკითხია, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული ამ ბრძოლიდან. რეაქციის გამარჯვება იქნებოდა ამავე დროს ფაშიზმის, დიქტატურის და პირწავარდნილი შოვინიზმის გამარჯვება. ამას მოყვებოდა ერთა შორის მუდმივი შუღლი და კონფლიქტები, შეიარაღების ზრდა და საერთაშორისო ომის საშიშროება.

ამნაირათ, სანამ, ერთი მხრივ, ევროპის ქვეყნებში, და განსაკუთრებით გერმანიაში, არ მომხდარა დემოკრატიული რეჟიმის მომაგრება და სტაბილიზაცია, სანამ, მეორეს მხრივ, რუსეთში არსებობს წითელი რეაქციის დიქტატურა, რომელიც იარაღით ხელში საერთაშორისო მშვიდობიანობას მუდმივათ ემუქრება და რაც მთავარია, სანამ არ შექმნილა ყველას უზრუნველსაყოფათ საერთაშორისო ძალა; რომელსაც შეეძლება შეაჩეროს და კალაპოტში ჩააყენოს ომის გამომწვევი და ამტეხი სახელმწიფო, მანამ განიარაღების საკითხის სასურველათ მოგვარება შეუძლებელი იქნება.

ბ. ბ.

◆

ჩინეთი-იაპონია-ამერიკა

(ზოგიერთი ცნობები)

ამ ასი წლის წინათ ჩინეთის ისტორიულ კედლებს თან დაერთო საბაჟო ზღუდე: აკრძალულ იქნა უცხოეთიდან ყოველივე საქონლის შემოზიდვა. იმპერიის გულუბრყვილო მთავრობა ამ გზით ფიქრობდა თავის წყნარ და მორჩილ ქვეშევრდომების დაცვას შფოთიან ევროპის გავლენისაგან და კერძოთ ინგლისის კაპიტალის მიერ ჩინეთში მრავლათ შემოზიდულ ოპიუმისაგან. მაგრამ ინგლისელი კაპიტალისტები აბა როგორ დასთმობდენ «თავისუფალ ვაჭრობის» პრინციპს! გაჩაღდა ეგრეთ წოდებული ოპიუმის ომი, რომლის შედეგათ (1843 წ.) ჩინეთმა გადასცა ინგლისს 5 თავისი ნავთსადგური, ე. ი. 5 ღია კარი, 5 გაშლილი გზა ინგლისური საქონლის შიდა ჩინეთში შესაჭრელათ. დაიწყო «ღია კარების» პოლიტიკა. დაიწყო მილიონების დენა ჩინეთიდან ინგლისში. ჩინეთი ვერც საბაჟოთი ისარგებლებდა თავის დასაცავათ, რადგან მას ბაჟის დაწესების თავისუფლებაც წაერთვა. მალე მას ჩამოართვეს აგრეთვე მის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელების გასამართლების უფლება. ამას მოჰყვა უფრო გვიან მთელი რიგი პროვინციების დაკარგვა: ბირმა მიითვისა ინგლისმა, ანნამი და ტონკინგი—საფრანგეთმა, ფორმოზა და რიუკიუს კუნძულები—იაპონიამ. გერმანიამ კიაუ-ჩაუ მიიღო ვითომ არენდათ, იქით კიდევ იაპონიის გავლენით კორეას ნახევარი კუნძული «დამოუკიდებლათ» გამოცხადდა და სხვ. ასე მიაშურეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვეებერთელა მარა უმწეო იმპერიას, შეაგლიჯეს ვისაც რის შეგლეჯა შეეძლო და შებოჭეს ის ძალით ნაკარნახევ ხელშეკრულებებით, რომელიც აიძულებდა ჩინელებს უსიტყვოთ აეტანათ უცხოეთის მტაცებლური ექსპლოატაცია.

ამ ღვირწახსნილ მტაცებლობას მოჰყვა ზოგიერთი შედეგები, რომლებიც, ეჭვი არაა, მტაცებელთ მიზანს არ შეადგენდენ.

საიმპერატორო დინასტიამ, მანჯუ, სინჯა რა ფულის გემო, ჩაება მის მუდმივ მოთხოვნილებაში, რისთვისაც იძულებული გახდა ევროპიელ კაპიტალისტებისათვის მიეყიდა და დაეგირავებია მისი ქვეშევრდომების სხვა და სხვა სიმდიდრენი თუ უფლებები: ასე მან გასცა ევროპიელებზე მრავალი მადანი, ბამბის და ჩაის პლანტაციები, რკინის გზების თუ ტრამვაის კონცესიები და სხვადასხვა. ჩინელები დარწმუნდენ, რომ ეს უცხოეთიდან (მანჯურიიდან) მოვლენილი დინასტია უაღრესად ანტიეროვნულ საქმეს აკეთებდა—უცხოელებს ამდიდრებდა და ჩინეთის ვაჭრობა-მრეწველობას ძირს უთხრიდა.

მარა ჩინელებმა მარტო ეს როდი შეიგნეს. ევროპიელებთან ურთიერთობამ მათ შეაგნებია აგრეთვე, რომ მათი უძლურება უცხოელების წინაშე წარმომდინარეობდა მათი პოლიტიკური და ეკონომიური სისუსტიდან, რასაც საფუძვლათ ჰქონდა მათი ჩამორჩენილობა მეცნიერებისა და ტეხნიკის მხრით. ჩინეთის სუსტი კაპიტალი დაეწაფა თანამედროვე წარმოებას. დაედო დასაბამი ჯერ სუსტ ეროვნულ ბურჟუაზიას. მრავალი ახალგაზდა წლიდან-წლობით იგზავნებოდა ევროპა-ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში, საიდანაც მათ მოჰქონდათ არა მარტო ევროპიული ცოდნა და ტეხნიკა, არამედ აგრეთვე ევროპიული პოლიტიკური შეხედულებანი. წარმოიშვა ეროვნული ინტელიგენცია, ბურჟუაზიის ინტერესების მატარებელი და დამცველი. ახლად აღორძინებული ბურჟუაზია ბუნებრივათ ნაციონალისტური სულისკვეთებით, უცხოელებისადმი სიძულვილით იყო გამსჭვალული. რახან იმპერატორთა დინასტია უცხოელებს უწყობდა ხელს ქვეყნის გაძარცვაში, ბურჟუაზიამ ადვილათ აიღო ხელი მონარქიის პრინციპზე და მიიღო რესპუბლიკა. დინასტიის დაქცევას გზა უნდა გაეხსნა უცხოელებთან ბრძოლისათვის და ჩინურ სახალხო მეურნეობისშექმნისათვის ეროვნული ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით. 1912 წ. დაემხო ტახტი და განიდევნა დინასტია, რაც მოასწავებდა მჩაგვრელ უცხოეთის პირველ დამარცხებას. დაიწყო მოძრაობა ეროვნული სახელმწიფოს დაწესებისათვის, დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ჩინეთის ბურჟუაზიის მიერ, ნაციონალურ ბურჟუაზიულ მთავრობის (კუომინტანგის) პოლიტიკური ხელმძღვანელობით. მის აღორძინებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მოქიშპე ქვეყნები მალე ჩაებენ მსოფლიო ომში და მით შედარებით ხელი გაუხსნეს ჩინეთის ბურჟუაზიას ეზრუნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. თუ რა შედეგებს მიაღწია მან ამ მხრით, მოწმობს შემდეგი ცნობები ტექსტილის წარმოების დარგიდან:

1890 წ. არსებ. 1 (ჩინური) სართავი ფაბრ., 65.000 ჩერია.
1913 წ. არსებობდა 32 სართავი ფაბრიკა, 835.000 ჩერია,
აქედან:

ჩინური	504.000 ჩერია,
იაპონური	75.000 ჩერია,
ინგლისური	176.000 ჩერია,
გერმანული	80.000 ჩერია,

1929 წ. 3,753 სართავი ფაბრიკა, აქედან:

ჩინური	2.200.000 ჩერია,
იაპონური	1.400.000 ჩერია,
ინგლისური	153.000 ჩერია.

ეს ცხრილი მოწმობს რამდენათ წინ მიდის ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია ჩინელებისვე მიერ და რამდენათ შენელდა ჩინეთის ეკონომიურ ცხოვრებაში ევროპის (ინგლისის) როლი. მაგრამ ის მოწმობს აგრეთვე, რომ ევროპის როლის შესუსტებასან ერთად მძლავრათ ვითარდება იაპონიის მონაწილეობა ჩინეთის მრეწველობის წინსვლაში.

ასევე იზრდება ევროპის ხარჯზე იაპონიის როლი ჩინეთის ექსპორტში. 1807 წ. აზიის და უწინარეს ყოვლისა იაპონიის მონაწილეობა ჩინეთის ექსპორტში უდრიდა 3,2 პროცენტს, 1905 წ. 17,4 პროც., ხოლო 1924 წ.—32 პროც., ხოლო ევროპის: 1807 წ.—81,8 პროც., 1905—67,1 პროც., 1924—54,7 პროც.

ამგვარად ევროპის მონაწილეობა შეუჩერებლივ კლებულობს, იაპონიისა კი გამუდმებით მატულობს (შეერთ. შტატებისა დაეცა 1905 წ.—1924 წლემდე 15, 5 პროცენტიდან 13, 29 პროცენტამდე). იაპონიის ეკონომიური შეჭრა ჩინეთში სწარმოებს ორი გზით: კორეით მანჯურიაში და შანხაით შუა ჩინეთში. მანჯურიაში მადნეულობით და ნახშირით ღარიბი იაპონია ეძებს ნედლ მასალას თავის ინდუსტრიისათვის. შანხაის გზით კი ის ისვრის შიდა ჩინეთის ბაზარზე თავის მზა ფაბრიკატებს. იაპონია სწრაფად იქცა ინდუსტრიულ ქვეყნად, ევროპიელებზე უფრო ხარბათ მოაწყდა ნედლ მასალას და ბაზარს თავისი საქონლისათვის, რამაც გამოიწვია ჩინეთის ბურჟუაზიაში და ხალხში განსაკუთრებული გაბორეტება და სიძულვილი მის წინააღმდეგ. მაშინ როდესაც დიდი ომის გამო შესუსტდა ჩაგვრა და ძალადატანება ევროპიელების მხრით, იაპონიამ გააორკეცა თავისი იერიშერი ჩინეთის სიმდიდრეთა და ბაზრის დასაპყრობათ, რასაც ისევ მისმა ევროპიელმა კონკურენტებმა დაუდვეს საზღვარი ვაშინგტონის კოგფერენციაზე (1923 წ.). ამიერიდან მისი მთავარი მოქიშპე შეიქნა ამერიკის შეერთებ. შტატები, რომელიც თავისებურათ უფარდებს თავის ინტერესებს ჩინეთის ბურჟუაზიისას. ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ უკანასკნელ 120 წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ვერ დაიპყრეს ჩინეთის ბაზრის დიდი ნაწილი (მათი მონაწილეობა ჩინეთის ექსპორტში უდრის 1924 წ., მხოლოდ 13, 29 პროც.). და ეს იმიტომ რომ ამერიკა ძალზე დაშორებულია ჩინეთისაგან, რომ მათ შორის საქონლის გაცვლა დიდათ განვითარდეს. ამიტომ ამერიკის კაპიტალმა მიმართა დაბანდების სხვა ფორმას: თვით ჩინეთის წარმოებაში სდებს ფულს იქაურ ბუნებრივ სიმდიდრეთა და იაფ ფასიან მუშათა ხელის გამოსაყენებლათ და ასე იაფათ დამზადებულ საქონლის ადგილობრივ ბაზარზე გამოსაშვებათ. ამ სახით, ომის დასრულების შემდეგ, ამერიკის კაპიტალის დაბანდება ჩინეთში დაახლოვებით 3 მილიარდ დოლარს უდრის; ამ გვარად ამერიკის კაპიტალი ხელს უწყობს ჩინეთის ეროვნულ ეკონომიკის აღორძინებას. ეს მისი მისია ძირიანად ეწინააღმდეგება იაპონიის მისწრაფებებს ჩინეთში. იაპონია ხომ მზათაა ყოველივე საშვალებით შეუშალოს ხელი ჩინეთის ეროვნულ მეურნეობის განვითარებას, რათა საკუთარი ჰეგემონია განამტკიცოს ქვეყნის შინაურ და საგარეო ეკონომიურ ცხოვრებაში.

აი ინტერესთა ის მთავარი, ეკონომიური ხასიათის ქიშპობა, (თუ სახეში არ მივიღებთ რუსეთს) რომელსაც ადგილი აქვს ჩინეთში და მის ირგლივ და რომლის ჩარჩოებში აღმოცენდა ეხლანდელი კონფლიქტი იაპონია-ჩინეთს შორის...

შეცდომის გასწორება.

სილიბისტრო ჯიბლაძის ბიოგრაფიაში («ბრძ. ხმა» № 21) გაგვეპარა შემდეგი შეცდომა: დაბეჭდილია: «1914 წლის დამლევს სილიბისტრო საქართველოში»... უნდა იყოს: «1914 წლის დამდეგს» და სხვა.

◆◆◆

ქართველ მშობელთა საყურადღებოთ!

ა. წ. თებერვლის 4-ს ქართული ბიბლიოთეკის შენობაში (5, Villa d'Orléans, მეტრო Alesia) ნაშუადღ. სრულ 5 ნახ. ს. ქართველ ბავშებს დაეწყებათ მეცადინეობა ქართულ ენაში, სრულიათ უსასყიდლოთ.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ:

ხუთშაბათობით 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

კვირაობით 4 საათ. 5 საათამდე.

მეცადინეობას ხელმძღვანელ. დ. ხარისჭირაშვილი.

მოწაფეთა წინასწარი ჩაწერა შეიძლება—ბიბლიოთეკაში ყოველ დღე საღ. 8 საათიდან 10 საათამდე.

◆◆◆

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

საქართველოს ისტორია

მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდან 26 მაისამდე.

დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, შ. რუსთველის და ერეკლე მეორის პორტრეტებით.

გამოცემა «დამოუკიდებელ საქართველოსი».

ფასი ხუთი ფრანკი.

«დამ. საქართველოს» წლიური ხელისმომწერი, რომელიც თებერვლის ბოლომდის მთლიანად გადაიხდის წლის ფასს, «საქართველოს ისტორიას» მიიღებს უფასოთ.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

დიდის მოფიქრებით და მომზადებით გადასდგან.

სამისო წინასწარი პირობები არ გააჩნდათ ბოლშევიკებს, როცა ისინი რუსეთში სათავეში ამოტივტივდენ. ცარიზმი უხშობდა ყველა კლასებს თავისუფალ მოქმედების ყოველივე საშუალებას, მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას უქვემდებარებდა სასტიკათ ცენტრალისტურ ბიუროკრატიულ, პოლიტიკურ, მილიტარისტურ დაწესებულებათა მხედველობას.

როცა სამხედრო დამარცხებაში, 1917 წ. ეს დაწესებულებები დაიმსხვრა, ხალხის ყველა კლასები წარსდგენ ახლად მოპოებულ თავისუფლების წინაშე, მოკლებულნი თავის საქმეთა გაძღოლის ჩვეულებას და გამოცდილებას. ეჭვი არაა, დემოკრატიაში ისინი ჩქარა მოიპოებდენ საჭირო გამოცდილებას და უნარს, რომ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემები მეტად მძიმე და რთული არ ყოფილიყო. მაგრამ ნორჩი დემოკრატია იმ თავითვე მეტად უმწეო აღმოჩნდა.

ამ გარემოებით ისარგებლეს ბოლშევიკებმა დემოკრატიის დასაღრჩობათ და ახალი დესპოტიის დასამყარებლათ; მათ ისარგებლეს ამისათვის უაღრესად ცენტრალისტური შეთქმულებით, რომელმაც შესძლო მიემხრო თავის მხარეზე მუშების ერთი რიგი და განსაკუთრებით ჯარისკაცები და მატროსები. ბოლშევიზმმა უზრუნველჰყო ამათი მიმხრობა უზომო დაპირებებით, რომელიც მან გააკეთა უბრალო დემაგოგიური მოსაზრებით, მაგრამ აგრეთვე იმიტომაც, რომ თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა წინამდებარე ამოცანის სიძნელეში.

როგორც მასებს, ისევე ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ შეძლება შეეძინათ ცარიზმის პირობებში ის თვისებანი, ურომლითოც შეუძლებელია კაპიტალიზმის დაძლევა. ბოლშევიკები ძლიერ გაწვრთნილნი იყვნენ პოლიციასთან ბრძოლაში ან უმეცარი ხალხისაგან ტაშის და მოწონების მოპოებაში. მაგრამ მათ აკლდა ყოველივე ცოდნა და მცირედი გამოცდილებაც კი ფართო სახელმწიფო ან ეკონომიურ დაწესებულებათა მართვისათვის. თეორიულად მათ შესწავლილი ჰქონდათ მარქსი, მაგრამ შესწავლილი ჰქონდათ ტალმუდისტურათ, რადგან მოკლებულნი იყვნენ ყოველივე შეძლებას ახლო გასცნობოდენ მარქსის მიერ განხილულ ეკონომიურ მოვლენებს. კრასინის დაგვარი კაცი მათ შორის გამონაკლისს წარმოადგენდა. და მანაც ვერ შესძლო დიდი ხნით შეენარჩუნებია თავისი გავლენა...

გამოცდილი ხალხის დიდი ნაკლებობით, თვით ხომ სრულიად მოუმზადებელნი, ბოლშევიკები შეუდგენ 150 მილიონ მცხოვრებიან იმპერიის თავდაყირა დაყენებას და რუსეთში წარმოების ახალი წესის დამყარებას, რომლისთვისაც იქ არავითარი წინასწარი პირობები არ არსებობდა, რომლის სანიმუშო წინამორბედი თვით უფრო მაღლად განვითარებულ დასავლეთსაც არ წარმოეშო ჯერ.

უდიდესი გენიოსიც კი ვერ აუვიდოდა ამ ამოცანას. თვით მარქსი და ენგელსიც დამარცხდებოდენ ამ პირობებში. მაგრამ ესენი, რა თქმა უნდა, წინდაწინვე სწორად შეაფასებდენ დაბრკოლებებს და ბოძებულ პირობებში არც კი სცდიდენ ამოცანის შესრულებას. გასაკვირი არაა, რომ სოციალისტურ პოეტებზე, როგორიც არიან სინკლერი, ბ. შოუ, ბარბიუსი და სხვები, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ბოლშევიკური გამბედაობა, თუმცა ის სრული უვიცობისაგან მომდინარეობს.

ბოლშევიკებმა სცადეს მოეწყოთ პლანისდაგვარი მეურნეობის მზგავსი რამ. მაგრამ პლანისდაგვარ მეურნეობას მარტო პლანის დასახვა ხომ არ შეადგენს—ამაზე ადვილი აბა რა არის—, არამედ აგრეთვე მისი სისტემატიური და თანდათანობითი განხორციელება. მხოლოდ იქ, საცა ეს მიღწეულია, შეიძლება პლანისდაგვარ მეურნეობაზე ლაპარაკი. ეს კი საბჭოთა რუსეთში არასოდეს მომხდარა და ვერც ვერასოდეს მოხდებოდა ვინაიდან იქ არ არსებობდა პირობები და გარემოებანი განზრახულ პლანის გასახორციელებლათ, რასაც თან ერთოდა ის გარემოება, რომ თვითეული პლანის შესრულებას უდგებოდენ საალალბედოთ, მოუმზადებლათ. დაიწყებოდა თუ არა პლანით მუშაობა, მაშინვე გამოჩნდებოდა მისი ნაკლულოვანებანი, მისი აქა თუ იქ გარღვევა აუცილებელი ხდებოდა და ბოლოს იძულებული ხდებოდენ სავსებით უკუეგდოთ ის. მაგრამ ბუნებრივია, რომ ეძნელებოდათ მისი ხელიდან გაშვება, სანამ მცირე იმედი მაინც იყო, რომ დაწყებული გზით სვლა შეიძლებოდა. მას მხოლოდ მაშინ ანებებდენ თავს, როცა წყალი ფეხქვეშ შეუდგებოდათ. ასეთ პირობებში იძულებული ხდებოდენ ისევ ნაუცბადევათ და მოუმზადებლათ მიეღოთ ახალი პლანები. ამგვარად, შემთხვევა როდია საბჭოთა კავშირში რომ ახალ სამეურნეო პლანებს მუდამ საალალბედოთ იღებენ. ეს არის აუცილებელი შედეგი ბოლშევიზმის პირვანდელი ცოდვისა; მან წარმოიდგინა, რომ რამოდენიმე ათასი ჯარისკაცის და მატროსის შემწეობით მოხდენილ სახელმწიფოებრივ გადატრიალების საშუალებით შესძლებდა მსოფლიოს განახლებას.

რასაც ჩვენ რუსეთში ვხედავთ, არის არა პლანის მეურნეობა, არამედ მეურნეობა პლანების, განუწყვეტელი ცვალებადობა პროექტების, რაიცა ახასიათებს ბოლშევიზმს არა მარტო მის დასაწყისში. ხშირად ეს არის უზარმაზარი პროექტი, ხოლო თვითეულ მათგანს მარტო დასაწყისი აქვს, ვერც ერთი ვერ მიჰყავთ დამშვიდებით ბოლომდე არამედ უთუოდ ხელახლა უნდა შესცვალონ, შეაკეთონ, განაახლონ და ეს მანამ, სანამ უვარგისად ცნობილი, ის ახალი პლანის საშუალებით «გაუმჯობესებული» ან და სრულად შეცვლილი იქნება.

ის რასაც რუსეთში ვხედავთ არის ordre, contre-ordre, désordre, ქართულად: წესი, გადაწესება, უწესობა.

ოტო ბაუერი თვით ლაპარაკობს «წარმოების ხელმძღვანელობის დეზორგანიზაციაზე» საბჭოთა საწარმოებში, რაშიაც ხედავს «ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს შრომის უყაირათობისა საბჭოთა რუსეთში».

ამ მხრით კიდევ უფრო მეტად მოქმედობს შედეგები იძულებითი შრომისა და აგრეთვე კვების ნაკლებობისა და უვარგისი საბინაო პირობებისა. ეს სხვათა შორის, ბაუერი განაგრძობს:

«ეს უყაირათობა არ შეადგენს აუცილებელ შედეგს ინდუსტრიის კაპიტალისტთა საკუთრებიდან საზოგადო საკუთრებაში გადასვლისას; მაგრამ ის აუცილებელია იქ, საცა ამ გადასვლას ცხოვრებაში ატარებს ყველა ბურჟუაზიული ელემენტების მჩაგვრელი ტერორისტული დიქტატურა».

სრულიად სწორია. მაგრამ უკვე ეს წარმოების პროცესის ერთგვარი დეზორგანიზაცია შეუძლებლად ხდის ყოველნაირ პლანის მეურნეობას, შრომის ყოველგვარ ორგანიზაციას, თავი რომ დავანებოთ ყველა ჩემ მიერ უკვე აღნიშნულ სხვა მიზეზებს დეზორგანიზაციისას.

ხშირად ლაპარაკობენ იმ გმირულ, უზარმაზარ სოციალურ ექსპერიმენტზე, რომელიც წამოწყებულია საბჭოთა რუსეთში. ჩვენ უკვე გავაშუქეთ თუ რა არის გმირული ამ ექსპერიმენტში. რაც შეეხება უზარმაზარს, უთუოდ უზარმაზარი იქნება ყველაფერი, რასაც 150 მილიონ მცხოვრებიანი სახელმწიფო წამოიწყებს—არის ეს სოციალური ექსპერიმენტი თუ, მაგალ., მსოფლიო ომი. სახელმწიფოს მმართველთა სიბრიყვეც და ბოროტმოქმედებაც უზარმაზარ სახეს იღებს.

ყოველ შემთხვევაში ექსპერიმენტათ კი უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ სწორედ როგორც პლანდაგვარი მეურნეობის საწინააღმდეგო ექსპერიმენტათ. ბოლშევიკები ვერასოდეს დააღწევენ თავს ცდის ხანას, რადგან მათ არ გააჩნიათ არც წინასწარი პირობები და არც მომზადება თავისი სოციალური დაწესებულებების შესაქმნელად.

მალე 15 წელი შესრულდება რაც რუსის ხალხის სნეულ სხეულზე ბოლშევიკები ექსპერიმენტებს ახდენენ სხვადასხვა ჯადოსნური საშუალებებით, რომელთაც ისინი დიდის ხმაურობით და შარლატანური რეკლამით აქებენ. მაგრამ პაციენტი უფრო და უფრო სნეულდება. უკანასკნელი მეთოდი წამლობისა, მრავალი წლის განმავლობაში შიმშილით წამლობა, ხომ უკიდურესათ ასუსტებს მას, თუმცა მისი მკურნალების რწმუნებით ეს საუკეთესო წვრთნაა ხანგრძლივი და ძნელი აღორძინებისათვის.

უზარმაზარია დაუსრულებელი ექსპერიმენტი, რუსის ხალხის სხეულზე წარმოებული. მაგრამ კიდევ უფრო უზარმაზარია ის წარმოუდგენელი მოთმინება, რომლითაც ეს ხალხი იტანს მისი დესპოტების მიერ მასზე მისი ნების წინააღმდეგ დაკისრებულ გამოუთქმელ გაჭირვებას. რომ დასავლეთ ევროპის ან ამერიკის მუშებმა ოდესმე ასეთი რამ მოითმინონ—ეს ხომ სრულად გამორიცხულია. აი აქ ძევს ის ვეებერთელა განსხვავება, რომელიც არსებობს ერთის მხრით დემოკრატიისა და მეორე მხრით აღმოსავლურ დესპოტიის ქვეყანათა შორის. რაც სრულიად არ ნიშნავს, რომ დესპოტიისა და დიქტატურის ქვეყნებმა უნდა იარონ სოციალიზმისაკენ საგანგებო, დემოკრატიულ გზისაგან განსხვავებული გზით. იქ საცა დემოკრატიული გზა დროებით შეკრულია, ის გაწმენდილი უნდა იქნას. ეს არის იქ ამდროოულათ უდიდესი ამოცანა ყველა იმათთვის, ვინც პროლეტარიატის, და მით მთელი კაცობრიობის, განთავისუფლებისათვის გამოდიან.

რუსეთის ხალხებსაც უწინარეს ყოვლისა დემოკრატია ეჭირვებათ. მხოლოდ მას შეუძლია ხელახლა გააცხოველოს დაავადებული მეურნეობა, გლეხებს და მუშებს მისცეს საშუალება კულტურული და გონებრივი აღორძინებისა. მხოლოდ მას შეუძლია მოუპოვოს მათ საკმარისი ბინა და ტანთსაცმელი, საკმარისი პური. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შეუძლია არა თვით ფაქტს დემოკრატიის არსებობისა, არამედ მის მიერ შექმნილ შესაძლებლობათა ენერგიულათ გამოყენებას. და მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია გაავითაროს მშრომელ კლასებში ყველა ის ძალები, რომელნიც მათ ესაჭიროებათ დემოკრატიის საშუალებათა მათი ნამდვილი აღორძინებისათვის გამოსაყენებლათ.

ბოლშევიზმს რუსეთში მენშევიზმი სრულიადაც არ დაუძლევია და არ დაუმტკიცებია მისი უსარგებლობა; პირიქით, მისი განმტკიცება და აღორძინება დღეს უფრო აუცილებელი საჭიროება, ვინემ ოდესმე. ეს იყო დღემდე ჩვენი ღრმა რწმენა. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს მას გადაუხვიოთ.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.